„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენვენცია

ინსტიტუციური მოწყობის და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება

თბილისი, 2016

ანგარიში მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „გაერო-ს სამი კონვენციის შესრულების ხელშეწყობა: ინსტიტუციური მოწყობისა და მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით და გაერო-ს განვითარების პროგრამის „გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში.

ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

ავტორი: ირაკლი მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა

© მწვანე ალტერანტივა, 2016.

სარჩევი

შესავალი **4**

1. კონვენციის მოთხოვნათა შესრულება და ანგარიშგება **8**

1.1 ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა, 1996 8

1.2 ბიომრავალფეროვნების კონვენციის პირველი ეროვნული ანგარიში, 2003 9

1.3 ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა, 2005 12

1.4 კონვენციის მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშები 14

1.5 მეოთხე ეროვნული ანგარიში 19

1.6 ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2014 22

1.7 მეხუთე ეროვნული ანგარიში 24

2. ინსტიტუციური მოწყობის მიმოხილვა **26**

2.1 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 27

2.2 სოფლის მეურნეობის სამინისტრო 30

2.3 ენერგეტიკის სამინისტრო 30

2.4 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 31

2.5 ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო 32

2.6 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 32

3. მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობების შეფასება **33**

რეკომენდაციები **47**

გამოყენებული ლიტერატურა **51**

დანართი 1. ინტერვიუებისათვის შემუშავებული კითხვები **55**

შესავალი

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენცია მსოფლიო საზოგადოებას 1992 წლის გაეროს კონფერენციაზე „გარემო და განვითარება“ (რიო დე ჟანეიროს „დედამიწის სამიტი“) წარედგინა. კონვენციის ტექსტზე ხელმოწერა 1992 წლის 5 ივნისს დაიწყო და 1993 წლის 4 ივნისამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კონვენციის ტექსტს 168 ქვეყანამ მოაწერა. კონვენცია ძალაში 1994 წლის 29 დეკემბერს შევიდა. კონვენციის მხარეთა პირველი კონფერენცია 1994 წლის 28 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე, ბაჰამაში ჩატარდა.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის სამი ძირითადი ამოცანაა:

1. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია
2. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება
3. გენეტიკური რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება.

დღეისათვის კონვენციის წევრია (მხარეა) 196 ქვეყანა. კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია. კონვენციის მიღებიდან დღემდე ჩატარებულია 12 მხარეთა კონფერენცია (COP). მე-13 მხარეთა კონფერენცია მიმდინარე წლის 4-17 დეკემბერს კანკუკში (მექსიკა) გაიმართება.

კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, კონვენციის ყველა მხარე (ქვეყანა) ვალდებულია, თავისი კონკრეტული პირობებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, შეიმუშაოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების ეროვნული სტრატეგიები, გეგმები და პროგრამები, კონვენციაში ჩამოყალიბებული ღონისძიებებისა და ამოცანების შესაბამისად; ასევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, შესაბამის სექტორულ და სექტორთშორის გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში ბიომრავალფეროვნების შენარჩნებისა და მდგრადი გამოყენების საკითხები უნდა ასახოს. კონვენციის მე-6 მუხლთან უშუალო კავშირშია 26-ე მუხლი. ის ავალდებულებს მხარეებს, მხარეთა კონფერენციის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, მოამზადოს, ქვეყანაში კონვენციის დანერგვის მდგომარეობის ამსახველი ანგარიშები. კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები (NBSAP) და 26-ე მუხლით განსაზღვრული ეროვნული ანგარიშები წარმოადგენენ კონვენციის განხორციელების (იმპლემენტაციის) და განხორციელელების პროცესის მონიტორინგის ძირითად ინსტრუმენტებს. დღეისათვის კონვენციის 196 ქვეყნიდან 185 ქვეყანას მომზადებული აქვს NBSAP[1].

დღეისათვის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებების მიხედვით, ქვეყნები ვალდებული იყვნენ მოემზადებინათ და ხუთი ეროვნული მოხსენება და წარედგინათ შესაბამისად 1997, 2001, 2005, 2009 და 2014 წლებამდე[2] (იხ. ცხრილი 1).

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის რატიფიცება საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა, ხოლო კონვენციის მხარე 1994 წლის 31 აგვისტოდან გახდა. 2009 წლის 2

[1] წყარო: www.cbd.int

[2] CBD COP Decisions II/17, V/19, VII/25, VIII/14 and X/10

თებერვლიდან ქვეყანა მიუერთდა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას პროტოკოლს.

ინფორმაცია საქართველოს მხრიდან კონვენციის პასუხისმგებელი პირების შესახებ კონვენციის ვებ-გვერზე (www.cbd.int) არის მითითებული. მის თანახმად, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის პასუხისმგებელი პირი (NFP) არის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური (სამსახურის უფროსი). სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საკითხებში საკონსულტაციო ორგანოს[3] (SBSTTA) ეროვნული პასუხისმგებელი პირი არის ზურაბ გურიელიძე[4], კარტახენას ოქმის ეროვნული პასუხისმგებელი პირი და ბიოუსაფრთხოების Clearing House ეროვნული პასუხისმგებელი პირი არის თეონა ქარჩავა (სამსახურის მთავარი სპეციალისტი). Nagoya Protocol on Access and Benefit-sharing[5] ეროვნული პასუხისმგებელი პირი არის ანა რუხაძე[6]. საქართველოს შესახებ კონვენციის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ზოგადი ინფორმაცია მოძველებულია[7] (მაგალითად, დაცული ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი, ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების შესახებ და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ ინფორმაცია და სხვ.).

კონვენციის წევრობის პერიოდში საქართველოს მომზადებული აქვს შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:

1. ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა (1996);
2. პირველი ეროვნული მოხსენება (1999);
3. პირველი ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა[8] (2005);
4. დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამის შესრულების მიმოხილვა[9] (2009);
5. მეორე ეროვნული მოხსენება (2010);
6. მესამე ეროვნული მოხსენება (2010);
7. მეოთხე ეროვნული მოხსენება (2010);
8. მეორე ბიომრავალეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა[10] (2014);

---

[3] Subsidiary Body on Scientific, Technical and Technological Advice (SBSTTA)

[4] სინამდვილეში, ზურაბ გურიელიძე არ არის SBSTTA პასუხისმგებელი პირი საქართველოში. კონვენციის ვებ-გვერზე მითითებულია მისი ძველი სამსახური და საკონტატქო ინფორმაცია (Georgia's Protected Areas Development Center, რომელიც 2006 წლიდან აღარ არსებობს).

[5] ეს ოქმი საქართველოს ჯერ არ აქვს რატიფიცირებული.

[6] მითითებულია, რომ ის არის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, თუმცა უკვე სამ წელზე მეტია ის სამინისტროში აღარ მუშაობს.

[7] https://www.cbd.int/countries/profile/default.shtml?country=ge#nbsap

[8] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის #27 დადგენილებით „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“.

[9] Review of the Implementation of the Protected Areas Work Programme

[10] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის #343 დადგენილებით „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“.

9. მეხუთე ეროვნული მოხსენება (2015).

ბიომრავალფეროვნების კონვენციის ხუთივე ანგარიშის, ისე როგორც პირველი და მეორე „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმების“ სტრუქტურა განსხვავებულია. ამ დოკუმენტების სტრუქტურასა და მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტები (გაიდლაინები) ყველა შემთხვევაში განისაზღვრებოდა კონვენციის მმართველი ორგანოს სპეციალური გადაწყვეტილებებით და ისინი გამომდინარეობდნენ იმ პერიოდისათვის აქტუალური გლობალური სტრატეგიული მიზნებიდან.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პერიოდში გაანალიზებული იქნა:

- ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი საქართველოს ანგარიშები (5 ეროვნული ანგარიში, დაცული ტერიტორიების პროგრამის ანგარიში) და ორივე ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2005, 2014) და მათი შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, ბიომრავალფეროვნების შესწავლის პროგრამის ანგარიში (1996); აღნიშნული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ თუ როგორ იცვლებოდნენ კონვენციის ეროვნულ დონეზე დანერგვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეები (სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო, სამეცნიერო და, სასწავლო ორგანიზაციები და ბიომრავალფეროვნების კონვენციაში საქართველოს გაწევრიანებიდან დღემდე; რომელი პრობლემები არის აქტუალური და რომელი მოგვარდა კონვენციის დანერგვის შედეგად და ა.შ.
- ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი ანგარიშგებასთან დაკავშირებული კვლევები;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები (Environmental Performance review, 1,2,3).
- ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი დანერგვასთან დაკავშირებული უწყებების/ სტრუქტული ერთეულების დებულებებისა და თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტები (დანართი 1: გამოყენებული ლიტერატურა).

ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებთან (ირაკლი შავგულიძე/ნაკრესი; კახა არცივაძე/ნაკრესი; ზურაბ გურიელიძე/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თეონა ქარჩავა/ბიომრავალფეროვნების სამსახური; ნონა ხელაია/ბიომრავალფეროვნების სამსახური; ნათია ჯავახიშვილი/გარემოსდაცვითი ინფორმაციის ცენტრი; ანა რუხაძე/ბიომრავალფეროვნების ექსპერტი). ინტერვიუებისათვის წინასწარ შემუშავდა კითხვები (დანართი 1).

ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე დანერგვის უმთავრეს ინსტრუმენტებს წარმოადგენენ ეროვნული სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები (კონვენციის მე-6 მუხლი) და მხარეთა ეროვნული ანგარიშები (კონვენციის 26-ე მუხლი). ეროვნული სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმა უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტის (გენები, სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები) კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების, მასთან დაკავშირებული საქმიანობის (დაცული ტერიტორებისა და ტყის მდგრადი მართვა და სხვა in-situ ღონისძიებები, ex-situ ღონისძიებები და სხვ.) დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ სახელმძღვანელო ინსტრუმენტს. ის ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამის სექტორულ და სექტორთშორის გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, სიღარიბის დაძლევა, ეკონომიკური განვითარება, სივრცული დაგეგმვა, მშენებლობა, ინფრასტრუქტურა, კანონშემოქმედება და სხვ.). ეროვნული

ანგარიშები წარმოადგენენ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს კონვენციის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობების მიმოხილვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ასევე, ეროვნული ანგარიშები წარმოადგენენ აუცილებელ ინსტრუმენტს იმისათვის, რომ დაიგეგმოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისკენ მიმართული საქმიანობა ეროვნულ დონეზე, მოხდეს განხორციელებული საქმიანობის შედეგების ანალიზი და მონიტორინგი. დაბოლოს წარმოადგენენ კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ეროვნულ ანგარიშებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ გლობალურ დონეზეც. ისინი საშუალებას აძლევენ მხარეთა კონფერენციას მუდმივად თვალი ადევნოს კონვენციის დანერგვას ეროვნულ დონეზე. ამასთანავე, ეროვნული ანგარიშები წარმოადგენენ წყაროს "ბიომრავალფეროვნების გლობალური პერსპექტივები“ ანგარიშის მოსამზადებლად და კონვენციის მომავალი გლობალური მიზნების განსაზღვრისათვის[11].

ჩამოყალიბდა საკითხები, რომლებზეც მოპოვებული/გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე გაცემული პასუხი მოგვცემდა საშუალებას განგვესაზღვრა: როგორ ასრულებენ საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე დანერგვისა და მონიტორინგის ფუნქციას საქართველოში მომზადებული კონვენციის ანგარიშგების დოკუმენტები (ეროვნული სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები და კონვენციის ეროვნული მოხსენებები). ეს საკითხებია:

1. არის, თუ არა ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები ინტეგრირებული სექტორულ და სექტორთაშორის გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში?
2. ხდება, თუ არა ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიებითა და მოქმედებათა გეგმებით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ასევე სხვა მომიჯნავე სექტორების საქმიანობის დროს (კონკრეტული პროექტებისა და საქმიანობების განხორციელების პროცესში)?
3. წარმოადგენენ, თუ არა ეროვნული ანგარიშები ინფორმაციის მნიშვნელოვან/რეალური წყაროს კონვენციის ფარგლებში ჩატარებული საქმიანობების მიმოხილვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის?
4. წარმოადგენენ, თუ არა ეროვნული ანგარიშები ინსტრუმენტს ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისკენ მიმართული საქმიანობის დაგეგმვისათვის?
5. ხდება, თუ არა საკმარის დონეზე იმ განხორციელებული საქმიანობის შედეგების ანალიზი და მონიტორინგი, რომლებიც მოცემულია ეროვნული სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმებში და ეროვნულ ანგარიშებში?
6. ხდება, თუ არა ანგარიშებში ასახული პრობლემების გადაჭრა შემდგომ საანგარიშო პერიოდში?
7. წარმოადგენენ, თუ არა ეროვნული ანგარიშები კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებას?
8. შეაქვს, თუ არა წვლილი საქართველოს ეროვნულ ანგარიშებს გლობალურ დონეზე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის საქმეში. იძლევიან თუ არა ისინი საშუალებას, რომ მხარეთა კონფერენციამ მუდმივად თვალი ადევნოს კონვენციის დანერგვას საქართველოში?

[11] იხ. www.cbd.int

9. წარმოადგენენ, თუ არა საქართველოს ეროვნული ანგარიშები წყაროს "ბიომრავალფეროვნების გლობალური პერსპექტივების“ ანგარიშების მომზადების და/ან კონვენციის მომავალი გლობალური მიზნების განსაზღვრისათვის?
10. რომელი სახელმწიფო ინსტიტუციები მონაწილეობენ კონვენციის ანგარიშგების პროცესში? არის, თუ არა ეს საკითხი გაწერილი მათ დებულებებში და თანამშრომელთა სამუშაოს აღწერებში. რამდენად შინაარსობრივია მათი მონაწილეობა? მიზეზების ახსნა

ანგარიშის მიზანია საქართველოში ბიომრავალეროვნების კონვენციის ანგარიშგებასთან (რომელიც მოიცავს ეროვნულ დონეზე დანერგვასა და მონიტორინგს) დაკავშირებული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემოთავაზება.

1. კონვენციის მოთხოვნათა შესრულება და ანგარიშგება

1.1 ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა, 1996

1994 წელს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ აიღო საერთაშორისო ვალდებულება დაიცვას და მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ქვეყნის უნიკალური ბიომრავალფეროვნება, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამის შემდეგ მთავრობა შეუდგა ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. კონვენციის დანერგვის პირველ ეტაპს წარმოადგენდა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა (1996)[12]. ეს იყო სამმხრივი თანამშრომლობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასა (UNEP) და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია სახეობათა კონსერვაციის ცენტრს (NACRES შორის)[13]. ამ პროგრამის მიზანი იყო ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი საფრთხეების, საქართველოში გავრცელებული სახეობებისა და მათი ჰაბიტატების მდგომარეობის შეფასება; არსებული ინფორმაციის შეგროვება და შეჯერება; თეთრი ლაქების იდენტიფიკაცია და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ანგარიში მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, საქართველოს ბოტანიკური მრავალფეროვნების მიმოხილვა (ბაქტერიების, ლურჯმწვანე წყალმცენარეების, წყალმცენარეების, სოკოების, ხავსების ჩათვლით), საქართველოს ზოოლოგიური მრავალფეროვნების მიმოხილვა (უხერხელმოთა ზოგიერთი ჯგუფი, ხერხემლიანები), შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა (მოიცავს პალიასტომის ტბასაც), ბიომრავალფეროვნება და ადამიანის საქმიანობა, დასკვნა, დანართები.

ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლის მასალები (ანგარიში) გამოიცა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ანგარიში მომზადდა ექსპერტების მიერ წარმოდგენილი, საკმაოდ მოცულობითი შეფასების მასალების საფუძველზე. სამწუხაროდ, ანგარიში არ მოიპოვება ინტერნეტ-სივრცეში და მხოლოდ მისი განმახორციელებელი ორგანიზაციების არქივებში ინახება. ბეჭდური ასლები ასევე გავრცელებული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, სხვა

[12] Country study report, 1996

[13] წყარო: ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2005.

სახელმწიფო უწყებებში და ბიბლიოთეკებში[14]. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მონაცემები მოძველებულია და განახლებას საჭიროებს, მისი გამოქვეყნება და თავისუფლად ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი იქნებოდა არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებთათვის, არამედ ბიომრავალფეროვნების შესწავლის, დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო (მათ შორის დაწყებითი საშუალო და უმაღლესი განათლების) ორგანიზაციებისათვის.

1.2 ბიომრავალფეროვნების კონვენციის პირველი ეროვნული ანგარიში, 2003

„ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული ანგარიშის (1996)“ გამოქვეყნების შემდეგ, საქართველომ ბიომრავალფეროვნების კონვენციის პირველი ეროვნული ანგარიშის მომზადება დაიწყო. ანგარიშის მიზანი იყო კონვენციის დანერგვის კუთხით ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიმოხილვა. პრაქტიკულად ეს უნდა ყოფილიყო კონვენციის დანერგვისა და მისი ვალდებულების შესრულების საწყისი ეტაპების აღწერა. მასში ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული ანგარიშზე (1996) დაყრდნობით, აღწერილია ქვეყნის ბიომრავალფეროვნების ძირითადი მახასიათებლები. დამატებით განხილული იყო ამ ანგარიშის შემდგომ პერიოდში (1996-2000) ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტები/ქმედებები (დაცული ტერიტორიების დაარსება, მიმდინარე პროექტები, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და სხვ.) და კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ ამ ანგარიშში მოცემული ზოგიერთი პრობლემასთან დაკავშირებით, სათანადო/საკმარისი ნაბიჯები მათი გადაჭრის მიმართულებით არ განხორციელებულა/ან ანგარიშში მოცემულ პერიოდთან შედარებით დაგვიანებით განხორციელდა. ასეთებს შეიძლება მივაკუთვნოთ კანონპროექტი „თანამედროვე ბიოტექნოლოგიის სფეროში სახელმწიფო რეგულირების შესახებ“, რომელიც, ანგარიშიც მიხედვით, მომზადებული იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ. სინამდვილეში, ეს კანონი არ დამტკიცებულა (კანონპროექტის შემუშავება არ დასრულებულა)[15]. ასევე დღემდე არ არის მიღებული ეროვნული კანონმდებლობა CITES-ის მოთხოვნათა შესრულებისათვის, რომელთა შესახებაც პირველ ანგარიშშია საუბარი. ანგარიშში ნათქვამია, რომ შემუშავების ფაზაშია კანონპროექტი „მცენარეთა სამყაროს შესახებ“, თუმცა ასეთი კანონი (არც დასრულებული სახით კანონპროექტი) არასოდეს შექმნილა.

ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი წარდგენილ პირველ ანგარიშში სწორად არის განსაზღვრული მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ბიომრავალფეროვნების სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ცხოვრებაში გატარებას და კონვენციის მიზნების ეროვნულ დონეზე დანერგვას. მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საჭიროება და უკვე არსებული კანონების სრულფასოვანი აღსრულება.

---

[14] კვლევის პროცესში არ გადაგვიმოწმებია, მოიპოვება თუ არა სახელმწიფო უწყებებში და ბიბლიოთეკებში პუბლიკაციის ასლები

[15] „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონი N2656-Iს, მიღებული იქნა 18.09.2014. გამოქვეყნებულია 02.10.2014, სარეგისტრაციო კოდი: 360160000.05.001.017511) (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge).

ანგარიში ხაზს უსვამს, რომ ბიომრავალფეროვნების მომიჯნავე და მის მდგომარეობაზე გავლენის მქონე დარგების - სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მიწათსარგებლობის სფეროებში არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების მოთხოვნებს და ხშირად წინააღმდეგობაში მოდის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, რაც ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს ამ უკანასკნელის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის. ანგარიშით განსაზღვრულია, რომ ჩასატარებელია მნიშვნელოვანი სამუშაო არსებული საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო კონვენციებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ანგარიშში განხილულია ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროსთან დაკავშირებული ინსტიტუციური მოწყობა. იმ პერიოდისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენდა მთავარ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იყო გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების რეგულირებაზე. სამინისტრო კოორდინაციას უწევდა ამ სფეროში საერთაშორისო ურთიერთობებსა და თანამშრომლობას და სახელმწიფო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას. სამინისტრო ამტკიცებდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტებს; ამტკიცებდა ლიცენზირების წესებს და გასცემდა ლიცენზიებს; უზრუნველყოფდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბანკის შექმნასა და ინფორმაციული სისტემების ფუნქციონირებას; ახდენდა ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო კადასტრის ორგანიზებას; ევალებოდა „საქართველოს წითელ წიგნსა“ და „წითელ ნუსხის“ წარმოება (თუმცა ამ პერიოდში შესაბამისი კანონმდებლობა არ არსებობდა); გარემოს მონიტორინგის სისტემის ორგანიზება (რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას); ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში[16].

სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციასა და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე. დეპარტამენტს ბევრი და მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული: ლიცენზიების გაცემა ცოცხალი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, სამონადირეო მეურნეობების შექმნასა და ნადირობაზე, საქართველოს შავი ზღვის აკვატორიასა და შიგა წყლებში თევზჭერაზე; კონტროლის განხორციელება ლიცენზიის პირობების შესრულებაზე. სერტიფიკატებსა და ნებართვების გაცემა CITES-ში შეტანილი სახეობების იმპორტზე, ექსპორტზე და რეექსპორტზე; ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების გენოფონდის აღწარმოებისა და რეზერვატების შექმნის სამუშაოების კოორდინაცია; კონტროლის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვაზე. სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების გეგმების შეთანხმება. აღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით დეპარტამენტში შექმნილი იყო შემდეგი განყოფილებები: მცენარეული საფარის დაცვის, ტყის დაცვის, ცხოველთა სამყაროს დაცვის, თევზის მარაგის რეგულირების, დაცული ტერიტორიების და კონვენციური სამსახურის.

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრადი სარგებლობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სხვა

[16] რეგიონალურ დონეზე კონტროლს ახორციელებენ სამინისტროს ტერიტორიალური ორგანოები, მათ შორის აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები (ორმაგი დაქვემდებარებით) და 12 რეგიონალური სამმართველო.

ორგანიზაციებიც: გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი, გარემოს დაცვის ინსტიტუტი, ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის ინსტიტუტი, გარემოს მონიტორინგის ცენტრი, შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია.

სამინისტროს სისტემის გარეთ არსებული სახელმწიფო უწყებებიდან ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებზე მუშაობდნენ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციიის მთავარი სამმართველო, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი[17].

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი მომზადებულ პირველ ანგარიშში (1999) ხაზგასმულია მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ აქტუალობას:

- სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების ფუნქციათა გადაფარვა და თეთრი ლაქების არსებობა (განსაკუთრებით ბიორესურსებით სარგებლობის კონტროლთან მიმართებით).
- ფუნქციათა დუბლირება და გავლენის სფეროების ურთიერთგადაფარვა, რაც იწვევს ქვეყანაში არსებული ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების არაეფექტურ მოხმარებას.
- სხვადასხვა სექტორის საქმიანობის სინერგიზმის (ურთიერთკოორდინაციის) არარსებობა.

ამ პრობლემების გამომწვევად, რის გამოც სახელმწიფო სტრუქტურები ეფექტურად ვერ ახორციელებენ დაკისრებულ ფუნქციებს, მიჩნეულია მწირი საბიუჯეტო დაფინანსება, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ანგარიშში მოხსენიებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას ეხებოდა, და ამასთანავე, მისი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა და თანხები (როგორც საბიუჯეტო, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გრანტები და კრედიტები) იყო დახარჯული, უკვალოდ დაიკარგა. მათ შორისაა „შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზუთხისებრთა ხელოვნური აღწარმოების გზით რესტოკინგის ღონისძიებათა განხორციელებისა და ბუნებრივი ტოფობის მდგომარეობის შესწავლის პროგრამა“, მსოფლიო ბანკის საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

ანგარიშში აღნიშნულია არასამთავრობო სექტორის როლი ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით და მათ მიერ ბიომრავალფეროვნების კვლევის, მონიტორინგისა და კონსერვაციის მიმართულებით განხორციელებული პროექტი. მოხსენიებული არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიზნების შესრულებაში: „საქართველოს დაცული ტერიტორიების პროგრამა“ (GRAP), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), „სახეობათა კონსერვაციის ცენტრი“ (NACRES), „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრი“ (GCCW), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანა“, Cuna-

[17] საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა კონტროლის განხორციელება განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე უკანონო სარეწი საქმიანობის ან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

Georgica, აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციის საზოგადოება „დიკა“, ასოციაცია „პოსეიდონი“, გეოგრაფიული საზოგადოება, ასოციაცია „აიეტი“. ჩამოთვლილთაგან ნაწილი აღარ არსებობს ან არ არის აქტიური, თუმცა ზოგიერთი დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ სფეროში.

პირველი ეროვნული ანგარიში მომზადდა "საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების პროგრამის" ფარგლებში, ქვეყნის პირველი ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის მზადების პარალელურად. პროგრამა დაფინანსებული იქნა მსოფლიო ბანკი/GEF-ს მიერ, რაზეც დონორთა გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1996 წელს[18]. კონვენციის ვებ-გვერდზე (www.cbd.int) განთავსებული ანგარიში დათარიღებულია 1999 წლით, ამ ვებ-გვერდზე განთავსების თარიღად 2002 წლის 19 დეკემბერია მითითებული. როგორც ჩანს, ანგარიშის დროულად არგამოქვეყნება უკავშირდებოდა ერთის მხრივ სამინისტროს სტუქტურებს შორის, ასევე სამინისტროსა და კონვენციის სამდივნოს შორის კომუნიკაციის ხარვეზებს[19].

1.3 ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმა, 2005

ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვის მეორე ეტაპის - ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავება 1998 წელს, მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით დაიწყო. აღნიშნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებას საერთო კოორდინაციას უწევდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. პირველი ეტაპის სამუშაო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად გაინაწილეს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა (NACRES), საქართველოს დაცული ტერიტორიების პროგრამამ (GPAP) და მეტყევე სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა. ისინი ერთობლივად ატარებდნენ სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს, აგრეთვე აგროვებდნენ და აანალიზებდნენ არსებულ მასალებს. დოკუმენტის მომზადებაში ასევე ჩართული იყვნენ ექსპერტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კოორდინაციით პერიოდულად ხდებოდა დაგროვებული მასალების შეჯამება, კომპილაცია, ანალიზი, ტარდებოდა შეხვედრები და სემინარები პროცესში ჩართული ჯგუფების მონაწილეობით.

სხვადასხვა მიზეზის (მწირი ინსტიტუციური და მატერიალური ბაზა, შეუთანხმებლობა სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის და სხვ.) გამო, დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მომზადების პროცესი დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს კონვენციამ მიიღო „პირველი სტრატეგიული გეგმა“. ამ დოკუმენტით კონვენციის მხარეები შეთანხმდნენ, რომ „უფრო ეფექტიანად და თანმიმდევრულად განახორციელებდნენ კონვენციის სამ ამოცანას, რათა 2010 წლისთვის მიღწეულიყო ბიომრავალფეროვნების კარგვის ტემპის შემცირება გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე დედამიწაზე სიცოცხლის ყველა ფორმის საკეთილდღეოდ და ამგვარად შეტანილიყო წვლილი სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში“.

[18] წყარო: საქართველოს ბიომრავალფეროვნების პროგრამის მასალები, 1996

[19] წყარო: ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთან

ნათელი გახდა, ამ პერიოდისათვის არსებული საქართველოს პირველი „ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მოქმედებათა გეგმის“ პროექტი მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებდა. ამის გამო, საქართველოს მთავრობის სახელით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შეემუშავებინა დოკუმენტის დასრულების ახალი სწრაფი გეგმა. ამავე დროს, სამინისტრომ დახმარება სთხოვა ფაუნისა და ფლორის დაცვის საერთაშორისო საზოგადოებას (FFI UK) დოკუმენტის ინგლისური ვერსიის მომზადებაში.

სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა, თავის მხრივ, თხოვნით მიმართა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გარემოსდაცვის გლობალური ფონდს (GEF) ნება დაერთოთ მათ მიერ დაფინანსებული პროექტის - “არიდული და სემიარიდული ეკოსისტემების კონსერვაცია სამხრეთ კავკასიაში” - ბიუჯეტიდან გამოყოფილიყო შესაბამისი თანხები დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შესამუშავებლად.

სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრმა, ფაუნისა და ფლორის დაცვის საერთაშორისო საზოგადოებასთან (FFI UK) მჭიდრო თანამშრომლობით და სხვადასხვა ექსპერტთა მონაწილეობით, შეიმუშავა განახლებული დოკუმენტი, რომელიც განსახილველად დაეგზავნა ყველა შესაბამის სამთავრობო, არასამთავრობო და აკადემიურ სტრუქტურას. ამ უკანასკნელთა მიერ მოწოდებული შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინების შემდეგ, ჩამოყალიბდა საბოლოო დოკუმენტი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გაიმართა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა საინტერესებულ მხარესთან, რის შემდეგად დოკუმენტმა დასრულებული სახე მიიღო.

დოკუმენტის ძალაში შესასვლელად სამინისტროს მიერ მომზადდა მთავრობის დადგენილება. ამ დადგენილებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #27, 2005 წლის 19 თებერვალი) დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა.

დოკუმენტმა განსაზღვრა ქვეყნის (შავი ზღვის აკვატორიის გარდა) ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენების სტრატეგია მომავალი 10 წლისათვის და კონკრეტულ მოქმედებები ხუთწლიანი პერიოდისათვის. იგი წარმოადგენდა ჩარჩო-დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა წარმართულიყო კოორდინირებული საქმიანობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში. ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა შედგებოდა პრეამბულისა და ორი თავისაგან. პრეამბულაში ჩამოთვლილი იყო ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიული კომპონენტები და მათთან დაკავშირებული პრობლემები. საქართველოს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, პრობლემებისა და მასზე მოქმედი საფრთხეების გათვალისწინებით გამოიყო ცხრა ძირითადი საკითხი:

- დაცული ტერიტორიები;
- სახეობები და ჰაბიტატები;
- აგრობიომრავალფეროვნება;
- ნადირობა და მეთევზეობა;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი;

- ბიოუსაფრთხოება;
- გარემოსდაცვითი განათლება, საზოგადოებრივი ცნობიერება და საზოგადოების მონაწილეობა;
- ფინანსურეკონომიკური პროგრამა;
- მდგრადი სატყეო მეურნეობა;
- საკანონმდებლო ასპექტები.

ისტორიული ასპექტებისა და არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად თითოეულ საკითხთან დაკავშირებით გამოიყო ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც დასახულია სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში:

დოკუმენტის პირველ თავში წარმოდგენილი იყო ზოგადი მიზანი და სამომავლო ხედვა. ასევე მოცემული იყო სტრატეგიული პრინციპები, რომლებსაც დოკუმენტი ეფუძნებოდა და კონკრეტული მიზნები და ამოცანები ზემოთ ჩამოთვლილი თითეული კომპონენტის მიხედვით.

მეორე თავი წარმოადგენდა მოქმედებათა გეგმას, რომელიც მოიცავდა კონკრეტულ ქმედებებს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კომპონენტების მიხედვით. დოკუმენტში გაწერილი იყო 140 ქმედება, მითითებული იყო, თუ რომელი სტრატეგიული მიზნის/მიზნების შესრულებას ემსახურებოდა ქმედება, მისი განხორციელების ვადები, სავარაუდო ბიუჯეტი (თითოეული ქმედებისათვის განსაზღვრული იყო სავარაუდო ბიუჯეტი შემდეგი სქემის მიხედვით: მცირე <50 000 აშშ დოლარი; საშუალო - 50 000 - 500 000 აშშ დოლარი; მაღალი - >500000 აშშ დოლარი), კონვენციის მუხლი, რომელსაც შეესაბამებოდა მოცემული ქმედება და შესრულების ინდიკატორები.

პირველი NBSAB-ის ქმედებების შესრულების მდგომარეობის შეფასება მოხდა მეორე NBSAB-ში, ასევე მეხუთე ეროვნულ მოხსენებაში.

1.4 კონვენციის მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშები

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე ანგარიშის ამოცანას წარმოადგენდა კონვენციის დანერგვის მდგომარეობის შეფასება 2001 წლისათვის. მისი სტრუქტურა დამტკიცებული იქნა კონვენციის V/19 რეზოლუციით, ხოლო მხარეების მიერ კონვენციის სამდივნოში წარმოდგენის საბოლოო ვადად 2001 წლის 15 მაისი განისაზღვრა.

კონვენციის მხარეთა მიერ წარმოდგენილი მეორე ეროვნული ანგარიშების ანალიზის შედეგად მოხდა კონვენციის დანერგვის მდგომარეობის შეფასება მსოფლიოში. მის საფუძველზე, 2002 წელს, კონვენციის მეექვზე მხარეთა კონფერენციამ (COP 6), რომელიც ჰაგაში, ნიდერლანდებში გაიმართა, კონვენციის ხელმოწერიდან 10 წლის აღსანიშნავად დაამტკიცა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის პირველი სტრატეგიული გეგმა“. გეგმის შემუშავების მიზანი იყო ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერის ხელშეწყობა - ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მისი კომპონენტების მდგრადი გამოყენების და გენეტიკური რესურსებისგან მიღებული შემოსავლების თანაბარი და სამართლიანი განაწილების გზით. კონვენციამ მოუწოდა მხარეებს, სამთავრობათაშორისო და სხვა ორგანიზაციებს, საკუთარი საქმიანობა, განსაკუთრებით კი ბიომრავალფეროვნების სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები, ახლად დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისობის ჭრილში გაეანალიზებინათ.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მესამე ანგარიშის ამოცანას წარმოადგენდა კონვენციის დანერგვის მდგომარეობის შეფასება 2005 წლისათვის. მისი სტრუქტურა დამტკიცებული იქნა კონვენციის VII/25 რეზოლუციით[20], ხოლო მხარეების მიერ კონვენციის სამდივნოში წარმოდგენის საბოლოო ვადად 2005 წლის 15 მაისი განისაზღვრა.

მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშის ფორმა იმგვარად იყო შედგენილი, რომ დაცული ყოფილიყო ბალანსი ერთის მხრივ კონვენციის დანერგვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდებასა, ხოლო მეორეს მხრივ - მოწოდებული ინფორმაციის გონივრულ მოცულობას შორის. მომზადებული ინფორმაცია პირველ რიგში უნდა დახმარებოდა კონვენციის მხარეებს, გაეანალიზებინათ, რამდენად ეფექტურია მათი ძალისხმევა საკუთარ ქვეყანაში კონვენციის დანერგვისათვის. მეორე და მესამე ანგარიშის ფორმა წარმოადგენდა ანკეტას, სადაც ყოველ კითხვაზე პასუხი რამდენიმე შემოთავაზებული ვარიანტიდან უნდა არჩეულიყო. კონვენციის მხარეებს ეთხოვათ, რომ კონვენციის დანერგვის ადმინისტრაციულ ასპექტებზე მეტად ყურადღება გაემახვილებინათ კონვენციის პოლიტიკის განხორციელების ფაქტიურ შედეგებზე / შინაარსობრივ მხარეზე.

საქართველომ ვერ შეძლო დაეცვა ვერც მეორე და ვერც მესამე ეროვნული ანგარიშის წარდგენის ვადები. როგორც აღვნიშნეთ, საქართველომ მხოლოდ 2005 წლის თებერვალში მოახერხა პირველი ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცება. შესაბამისად, საქართველოში კონვენციის დანერგვის მდგომარეობის (რაც, წესით, NBSAP-ის შესრულების პროგრესის შეფასებას გულისხმობდა) შეფასების მომზადება არ იყო რეალისტური. მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშის დროულად მოუმზადებლობის მიზეზს წარმოადგენდა სამინისტროს მწირი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები და ორგანიზაციული მართვის პრობლემები; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - პოლიტიკური ნების არარსებობა საქართველოს ხელისუფლებაში (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სურვილი არ იყო საკმარისი).

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშების მომზადებისათვის საქართველომ ფინანსური დახმარება 2008 წელს მიიღო. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მხარდაჭერილი იქნა პროექტი „დახმარება ბიომრავალფეროვნების მხრივ არსებულ შესაძლებლობათა გაზრდისათვის, ბიომრავალფეროვნების რესურ ცენტრის მექანიზმში მონაწილეობა და ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე და მესამე ეროვნული მოხსენების მომზადება“ (დაფინანსების მიღების წინაპირობა სწორედ NBSAP-ის დამტკიცება იყო). GEF/UNDP-ის დაფინანსებული პროექტით, შესაძლებელი გახდა საჭირო კონსულტაციებისა და შესწავლების ჩატარება, რათა ანგარიშებში სრულყოფილად ასახულიყო კონვენციის მუხლებისა და შესაბამისი რეზოლუციების განხორციელებისათვის ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესები. პროექტი ხორციელდებოდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის NACRES-ის მიერ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მეორე ანგარიშში აღწერილია 2001 წლამდე, ხოლო **მესამე ანგარიშში** - 2002-2005 წლებში საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების სფეროში

[20] COP 7 - Seventh Ordinary Meeting of the Conference of the Parties to the Convention on Biological Diversity Kuala Lumpur, Malaysia, 9 - 20 February 2004

განხორციელებული ქმედებები და მათი შედეგები, ამ დროისათვის არსებული ფონური სიტუაცია, არსებული პრობლემები. ორივე ეროვნული ანგარიში ერთდროულად მზადდებოდა, რასაც საერთო კოორდინაცია გაუწია სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა NACRES. მის მომზადებაში ჩართული იყვნენ შემდეგი ექსპერტები:

- ანა რუხაძე, ბიომრავალფეროვნების ექსპერტი (პასუხისმგებელი უშუალოდ დოკუმენტის მომზადებაზე);
- ირაკლი მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა (ტყეების ბიომრავალფეროვნება);
- გია სოფაძე, ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, (სამეცნიერო კვლევები და თანამშრომლობა, კადრების მომზადება, განათლება).

დოკუმენტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები და ინტერვიუები საჯარო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და არასამთვრობო ორგანიზაციებთან. სახელმწიფო დაწესებულებებიდან დოკუმენტის შექნაში მონაწილეობდნენ:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი;
- გარემოს დაცვის ინსპექცია;
- დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი;
- სატყეო დეპარტამენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტი.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საგანმანათლებლო დაწესებულებები:
- თბილისის ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი;
- ბათუმის ბოტანიკური ბაღი;
- ზოოლოგიის ინსტიტუტი;
- ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი;
- გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი;
- მიწათმოქმედების ინსტიტუტი;
- მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი;
- ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

არასამთავრობო ორგანიზაციებიდან:

- WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობა;

- IUCN-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი;
- ველური ბუნების დაცვის ცენტრი (GCCW);
- ველზე მომუშავე მკვლევართა ასოციაცია CAMPESTER;
- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა";
- მდგრადი ტურიზმის ცენტრი;
- საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევის საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) პროგრამის კავკასიის ფილიალი;

კონსულტაციებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიშების პირველი სამუშაო ვერსია ქართულ ენაზე, რომელიც განსახილველად წარდეგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში აისახა მიღებული კომენტარები და რეკომენდაციები. ეროვნული ანგარიშების ხარისხი შეფასდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრთან (NACRES) სპეციალურად ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ. მეორე და მესამე ანგარიშში გამოყენებული წყაროები ძირითადად სამინისტროს მიერ ან სამინისტროს მონაწილეობით მომზადებულ სხვადასხვა ანგარიშებს და პროგრამულ დოკუმენტებს ეყრდნობა.

საქართველოს მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშები კონვენციის სამდივნოში წარდგენილია 2010 წლის 6 მაისს. კონვენციის ვებ გვერდზე კი მეორე ანგარიშის განთავსების თარიღად 20.06.2003, ხოლო მესამე ანგარიშის განთავსების თარიღად - 07.09.2006 არის მითითებული.

ამრიგად, მეორე და მესამე ეროვნული ანგარიშების დაგვიანებით მომზადებისა და წარდგენის შედეგად, მათი შემუშავების ძირითადი არსი დაიკარგა: საქართველოში კონვენციის დანერვის ეფექტურობის შეფასება 2001 და 2005 წლები მდგომარეობით და ანგარიშგების პროცესში დანახული ხარვეზების დროულად გამოსწორება. ამასთანავე, საქართველო ჩამორჩა კონვენციის ეგიდით მიმდინარე პროცესებს, პრობლემა შეექმნა კონვენციის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვასაც.

მიუხედავად ამისა, ანგარიშების მომზადების პროცესში გამოჩნდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები კონვენციის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისა და ანგარიშგების კუთხით: კონვენციის დანერგვის საკითხში ისეთი საკვანძო უწყებები, როგორისაა სატყეო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი საერთოდ ან თითქმის არ იყვნენ ინფორმირებული კონვენციის ვალდებულებების შესახებ და გარკვეულწილად, გვერდიდან უყურებდნენ მოვლენებს. ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვა გაიგივებული იყო ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს ამოცანასთან და არა მთელი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებასთან.

ანგარიშებში ნათლად არის აღნიშნული სისტემური პრობლემები, რომლებიც კონვენციის დანერგვის პირველ ეტაპზეც იყო აღნიშნული. ქვემოთ ჩამოვთლით ზოგიერთ მათგანს, რომლებიც აქტუალობას დღესაც არ კარგავენ:

2005 წლის მდგომარეობით პრობლემას წარმოადგენდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ღონისძიებების დაგეგმარებისა და განხორციელების სისუსტე, ბუნებრივ რესურსებზე გაზრდილი ზეწოლა, საზოგადოებისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება, საზოგადოების მონაწილეობის ნაკლებობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

ბიომრავალფეროვნების საკითხების გათვალისწინება სუსტად ან საერთოდ არ ხდებოდა სხვა სექტორების გეგმებსა და პროგრამებში. ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის სამართლებრივ რეგულირებებში წარმოიქმნა მრავალი ხარვეზი და შეუსაბამობა. მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნებისა, არ იყო ჩამოყალიბებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემა. სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტების მონიტორინგი, თუმცა არ ხდებოდა შეგროვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. ეს შეუძლებელს ხდიდა ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის დინამიკაზე თვალყურის დევნებას, შესაბამისი ღონისძიებების დროულად დასახვას და მნიშვნელოვნად აფერხებდა ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის შეჩერებას. დაცული ტერიტორიების შექმნა გეგმარების სხვადასხვა ეტაპზე იყო (ცენტრალურ კავკასიონი-სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი; ჯავახეთი, თბილისისა და მტირალას ეროვნული პარკები, იმერეთის მღვიმეთა კომპლექსი).

ანგარიშებიდან ცხადია, რომ ტყეების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული კონვენციის მოთხოვნების შესრულების მიმართულებით თითქმის არაფერი არ შესრულებულა. მდგრადი სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის ძირითად სირთულეებს წარმოადგენდა: პოლიტიკური ნებისა და მხარდაჭერის სიმცირე, ინსტიტუციური სისუსტეები, თანამშრომლობის არარსებობა/სიმცირე დაინტერესებულ მხარეებს შორის, ეკოსისტემურ მიდგომებზე დაფუძნებული მართვის ცოდნისა და პრაქტიკის არარსებობა, სათანადო საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფინანსური საფუძვლების არარსებობა ტყის რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად. საქართველოში ტყის რესურსების მართვის პრაქტიკა არ შეესატყვისებოდა მდგრადი განვითარების პრინციპებს და ის ძირითადად ორიენტირებული იყო ტყეების საექსპლუატაციო მიზნით მოხმარებაზე, რაც თავის მხრივ, იწვევდა ტყის ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას.

დღემდე არ არის შესრულებული ის ქმედებები, რომლებიც აუცილებლად იქნა მიჩნეული 2005 წლისათვის: გადამფრენ ფრინველებზე ლიცენზიების გაცემის პროცედურის დახვეწა; მიგრირებად ფრინველებზე ნადირობის ქვოტის დადგენისათვის მეთოდიკის შემუშავება; იმ ადგილების იდენტიფიცირება, სადაც მკაცრად აკრძალულია ან დაშვებულია ნადირობა; ამ ტერიტორიებზე აღრიცხვების ჩატარება. სატროფეო ნადირობის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა; ბაზიერობასთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღება და დანერგვა; ძირითადი ინვაზიური სახეობებთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლა და მათი მართვის სტრატეგიის შემუშავება და სხვ.

განსაკუთრებით პრობლემური იყო ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხების ინკორპორაცია გამჭოლ/ჰორიზონტულ რეგულაციებში. იგორირებული იყო ეკოსისტემური მიდგომის გამოყენების პოტენციალი, ქვეყანა არ ახორციელებდა ტექნიკურ და ფინანსურ ხელშეწყობას ეკოსისტემური მიდგომის გამოყენებისათვის საჭირო პოტენციალის ასამაღლებლად. ანგარიშებში (განსაკუთრებით მე-3 ანგარიში) ხაზგასმულია გზშ სისტემის ნაკლოვანებები და აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს გარკვეული პროექტები მის გასაუმჯობესებლად. ასევე აღნიშნული იყო, რომ გარემოზე ზემოქმდების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას მონიტორინგს გაუწევდა ორჰუსის ცენტრი.

თუმცა აღნიშნული ჩანაწერები ფორმალური იყო, ვინაიდან მეორე და მესამე ანგარიშის წარდგენის (2010 წელი) დროს უკვე ცნობილი იყო, რომ მათში მოხსენიებული, არასამთავრობო სექტორის

მონაწილეობით მომზადებული კანონპროექტები, რომლებსაც გარემოზე ზემოქმდების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრაქტიკა უნდა გაეუმჯობესებინათ, მთავრობამ იმგვარად შეცვალა და ისეთი სახით დაამტკიცა, რომ რეალური სიტუაცია გაუარესდა. კერძოდ ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე და მესამე ანგარიშებში გაკრიტიკებული კანონები „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ (1996)“ და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (1996)“ და მათგან გამომდინარე კანონქვედებარე აქტები, ჩაანაცვლა საქართველოს კანონებმა „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ (2007) და „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (2007), რომლებმაც გაცილებით გაუარესა გზშ კანონმდებლობა, განსაკუთრებით მასში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხების ასახვისა და საზოგადოების მონაწილეობის კუთხით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანგარიშებში წარმოჩენილმა პრობლემებმა საშუალება მისცა ექსპერტებს, რომ პრობლემები და მათი გადაჭრის გზები უფრო ადეკვატურად და სრულყოფილად ასახულიყო **მეორე ბიომრავალფეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში.**

1.5 მეოთხე ეროვნული ანგარიში

2002 წლის „პირველი სტრატეგიული გეგმის“ მიღებით, კონვენციის მხარეებმა აიღეს ვალდებულება, 2010 წლისათვის მიეღწიათ ბიომრავალფეროვნების კარგვის ტემპის მნიშვნელოვანი შემცირებისათვის გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. მეოთხე ეროვნული მოხსენების მიზანს წარმოადგენდა, ბიომრავალფეროვნების არსებული სტატუსისა და ტენდენციების გათვალისწინებით, შეფასებულიყო 2010 წლისათვის დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგები და დასახულიყო მომავალი საქმიანობის მიმართულებები.

მეოთხე ეროვნულ ანგარიშში მხარეებს უნდა შეეფასებინათ კონვენციის სამი მიზნის შესრულების მდგომარეობა ეროვნულ დონეზე. გარდა ამისა, მეოთხე ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა შემუშავებულიყო Global Biodiversity Outlook მესამე გამოცემა.

მეოთხე ანგარიშის სტრუქტურის (სახელმძღვანელოს) შედგენისას, კონვენციამ გაითვალისწინა, რომ მეორე და მესამე ანგარიშის სტრუქტურა[21], მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ გამოდგა სასარგებლო კონვენციის პროცესების მიმოხილვისა და შეფასებისათვის, რადგან არ იძლეოდა ფართო სურათს ქვეყნის მიერ ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების შესახებ. კონვენციის მხარეებს მეოთხე ეროვნული ანგარიშები კონვენციის სამდივნოსთვის 2009 წლის 30 მარტამდე უნდა წარედგინათ[22].

საქართველოს მეოთხე ანგარიში მომზადდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა და გარემოს გარემოს დაცვის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის Small-Scale Funding Agreement (SSFA) for the project, “Support to GEF Eligible CBD Parties for Carrying out 2010 Biodiversity Targets National Assessments- Phase III” მიერ. პროექტი განხორციელდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის - NACRES - ის მიერ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.
მეოთხე ეროვნული ანგარიშის პროექტი მოამზადა ანა რუხაძემ (გარემოს დავცისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახური), სხვადასხვა სახელმწიფო,

[21] მეორე და მესამე ანგარიშის ფორმა წარმოადგენდა ანკეტას, სადაც ყოველ კითხვაზე პასუხი რამდენიმე შემოთავაზებული ვარიანტიდან უნდა არჩეულიყო.

[22] www.cbd.int მეოთხე ეროვნული მოხსენების სახელმძღვანელო

არასამთავრობო დ აკადემიური ორგანიზაციდან და სხვადასხვა გამოქვეყნებული ანგარიშიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. გამოყენებულია როგორც სამინისტროს მონაწილებით მომზადებული ანგარიშები და საპროგრამო დოკუმენტები, ასევე სხვადასხვა არასამთავორობო ორგანიზაციების პუბლიკაციები.

კონსულტაციებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიშების პირველი სამუშაო ვერსია ქართულ ენაზე, რომელიც განსახილველად წარედგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში აისახა მიღებული კომენტარები და რეკომენდაციები. ეროვნული ანგარიშების ხარისხი შეფასდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრთან (NACRES) სპეციალურად ჩამოყალიბებული ჯგუფის მიერ. ანგარიშის თანახმად, ინტერვიუები და კონსულტაციები მიმდინარეობდა ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო ორგანიზაციები:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი;
- გარემოს დაცვის ინსპექცია;
- დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი;
- სატყეო დეპარტამენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტი.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- თბილისის ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი;
- ბათუმის ბოტანიკური ბაღი;
- ზოოლოგიის ინსტიტუტი;
- ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი;
- გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი;
- მიწათმოქმედების ინსტიტუტი;
- ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

არასამთავრობო ორგანიზაციები:

- WWF-ის კავკასიის წარმომადგენლობა;
- IUCN-ის სამხრეთ კავკასიის ოფისი;
- ველური ბუნების დაცვის ცენტრი (GCCW);
- ველზე მომუშავე მკვლევართა ასოციაცია CAMPESTER;
- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია “ელკანა”;
- მდგრადი ტურიზმის ცენტრი;
- საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კვლევის საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) პროგრამის კავკასიის ფილიალი;

ანგარიშის თანახმად, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში ეროვნულ დონეზე 2005-2009 წლების განმავლობაში ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები იყო „დაცული ტერიტორიების განვითარება და სატყეო სექტორის რეფორმირება“. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან სატყეო სექტორის რეფორმირების კუთხით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. სატყეო სექტორში განხორციელებული ქმედებები კი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით, ასევე კონვენციის სატყეო პროგრამით დადგენილ ვალდებულებებს (მაგალითად, ტყის ჭრის 20-წლიანი ლიცენზიების გაცემა მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებში; ლიცენზიების გაცემა ტყეთმოწყობის ჩატარების გარეშე; ადგილობრივი მოსახლეობის ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუარესება და სხვ).

მეოთხე ანგარიშის მიხედვით, NBSAP-ის განხორციელებაში ძირითადი მიღწევებს წარმოადგენდა:

- დაცული ტერიტორიების სისტემის შემდგომი განვითარება;
- საქართველოს „წითელი ნუსხის“ შედგენა IUCN-ის კრიტერიუმების და კატეგორიების მიხედვით განხორციელებული შეფასებების საფუძველზე;
- საფრთხის წინაშე მყოფი ზოგიერთი სახეობებისა და სახეობათა ჯგუფებისთვის კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმების მომზადება და ქმედებების განხორციელების დაწყება;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების დაწყება;
- საქართველოს ფლორის ენდემური, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და კულტურული ჯიშების ex-situ და on-farm კონსერვაცია;
- ბიოლოგიური რესურსების მდგრადი მართვისათვის სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება.
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრის შექმნა (www.chm.moe.gov.ge)

NBSAP-ის განხორციელების ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოებებიდან დასახელებულია: არასაკმარისი ფინანსური რესურსები, ბიომრავალფეროვნების დაცვის არაპრიორიტეტულობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე, საზოგადოებისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება, პერსონალის სიმცირე სახელმწიფო სექტორში, რომელიც დაკავებულია ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების მართვის სფეროში. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო ხარჯები დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებისათვის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობის ადმინისტრირებისათვის, ბიომრავალფეროვნების სფეროში სამეცნიერო კვლევებისთვის. NBSAP-ით დაგეგმილი ქმედებები უმეტესწილად ხორციელდებოდა გარე წყაროების – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF), გერმანიის, ნორვეგიის, აშშ, ევროკავშირისა და CEPF-ის წვლილი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. სხვა სექტორული სამინისტროების მონაწილეობა კონვენციის დანერგვაში უმნიშვნელო იყო. ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხები გარკვეულწილად ასახული იქნა სოფლის

მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის სექტორებში, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების სტრატეგიებში.

ანგარიშში ბიომრავალფეროვნებაზე განვითარების პროექტების ზეგავლენის შემცირების მექანიზმად დასახელებული იყო მოქმედი გარემოზე ზემოქმედების სანებართვო სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილია გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ „აღნიშნული მექანიზმი საჭიროებს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას“. სამწუხაროდ, ეს ფრაზა ვერანაირად ვერ ასახავდა არსებული რეალობის სიმძიმეს.

მეოთხე ანგარიში სამინისტრომ კონვენციის სამდივნოში 2010 წლის 30 მარტს გააგზავნა (კონვენციით დადგენილ ვადაზე ზუსტად 1 წლით დაგვიანებით).

1.6 ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2014

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიერ მიღებული „პირველი სტრატეგიული გეგმის“ შესრულების ანალიზმა აჩვენა, რომ 2010 წლისათვის გლობალურად დასახული მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა. გრძელდებოდა როგორც გენეტიკური, ისე - სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების შემცირება. ბიომრავალფეროვნებაზე ადამიანის მხრიდან უარყოფითი ზემოქმედების დონე, უმეტესად, სტაბილურად მაღალი ან მზარდი იყო. ექსპერტების აზრით, თუ არსებული ნეგატიური ტენდენციები არ შეიცვლება, ჩვენი საუკუნე ჰაბიტატების კარგვისა და სახეობათა გადაშენების არნახული მასშტაბების მომსწრე გახდება; ბიომრავალფეროვნებით განპირობებული ეკოსისტემური სერვისების ფართო სპექტრი, შესაძლოა, სამუდამოდ დავკარგოთ; პროცესი კრიტიკულ ზღვარს გადააჭარბებს და კაცობრიობა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება; ყველაზე მტკივნეულად ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია მსოფლიოს ღარიბ მოსახლეობაზე აისახება (რაც ათასწლეულის განვითარების მიზნებს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს), თუმცა ბიომრავალფეროვნების შემცირების უარყოფითი ზეგავლენისგან თავისუფალი არც ერთი ადამიანი არ იქნება. ამ უარყოფითი ტენდენციების შეჩერებისათვის, საჭირო გახდა მრავალმხრივი და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების გეგმის დასახვა.

2010 წელს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მხარეთა მე-10 კონფერენციაზე მიღებული იქნა „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმა 2011-2020“, რომელიც ეფუძნება სამომავლო ხედვას და გულისხმობს „მსოფლიოს, სადაც ადამიანი ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში ცხოვრობს“, ხოლო „2050 წლისთვის ბიომრავალფეროვნება სათანადოდ დაფასებულია, აღდგენილია და გამოიყენება მხოლოდ მდგრადი ფორმებით, ისე, რომ შენარჩუნებულია ეკოსისტემური სერვისები, უზრუნველყოფილია პლანეტის სიჯანსაღე და თითოეული ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სარგებელი“.

განახლებული სტრატეგიული გეგმის მთავარი მისია არის ეფექტიანი და გადაუდებელი ღონისძიებების დასახვა ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერებისთვის, რათა 2020 წლისთვის უზრუნველყოფილი იყოს ეკოსისტემების მდგრადობა და დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ყველა ფორმის შენარჩუნება, მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების უწყვეტი მიწოდება, სიღარიბის აღმოფხვრა და ადამიანების კეთილდღეობა. სტრატეგიული გეგმით ხუთი სტრატეგიული მიზანი განისაზღვრა. მათ მისაღწევად დაისახა 20 გლობალური მიზანი, ე.წ. „ბიომრავალფეროვნების აიტის მიზნები“ (Biodiversity Aichi Targets), რომლებიც განსაზღვრავენ გლობალურ დონეზე მისაღწევ შედეგებს და გვთავაზობენ მოქნილ ჩარჩოს ეროვნული თუ

რეგიონული მიზნების დასაგეგმად. აიტის მე-17 მიზნის თანახმად, 2015 წლისთვის კონვენციის თითოეულ მხარეს (ქვეყანას) შემუშავებული და პოლიტიკის გამსაზღვრელ დოკუმენტად მიღებული უნდა ჰქონოდა ეფექტიანი და თანამონაწილეობრივი პრინციპით განახლებული „ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“ და დაწყებული ჰქონოდა მისი განხორციელება.

ამ დავალებიდან გამომდინარე, 2011 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ წამოიწყო ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის განახლების პროცესი, რათა ეროვნულ სტრატეგიაში სათანადოდ ასახულიყო გლობალური სტრატეგიული გეგმა და აიტის მიზნები. სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურმა, GIZ-ის მიერ განხორციელებული ქართულ-გერმანული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ დახმარებით, დაიწყო ქვეყნის ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა ასპექტებისა და ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შეფასების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაცია. შედეგად, შემუშავდა ანგარიშები თერთმეტი მთავარი მიმართულების შესახებ. ეს მიმართულებებია: სახეობები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიები, აგრობიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური რესურსების შეფასება და გამოყენება, ბიოუსაფრთხოება, საზოგადოების მონაწილეობა და განათლება, კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნება, ბიომრავალფეროვნების მართვა და მმართველობა, ტყის ბიომრავალფეროვნება, შიდა წყლების ბიომრავალფეროვნება, შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება. თერთმეტი ანგარიში ერთ სქელტანიან დოკუმენტად გაერთიანდა. მან თავი მოუყარა შეფასებისას მოპოვებულ ყველა ინფორმაციასა და დასკვნას. მოგვიანებით, ეს დოკუმენტი გადამუშავდა და მოკლე სინთეზურ ანგარიშად ჩამოყალიბდა „სიტუაციის ანალიზის“ სახით, რომელიც განახლებული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის საფუძველი გახდა.

განახლებული სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში შევიდა საქართველოს ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა, ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სამომავლო ხედვა და ეროვნული მიზნები, სიტუაციის ანალიზი შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით, რომლებზეც მუშაობდნენ:

- სახეობები და ჰაბიტატები
- დაცული ტერიტორიები;
- ტყის ეკოსისტემები;
- აგრარული ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი სათიბ-საძოვრები;
- შიდა წყლის ეკოსისტემები;
- შავი ზღვა;
- მმართველობა და გამჭოლი საკითხები;
- საზოგადოების ცნობიერება, განათლება და კომუნიკაცია.

თემატური ქვეთავების შემდეგ, წარმოდგენილია სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ცხრილების სახით. ცხრილებში მოცემულია 5 გლობალური სტრატეგიული მიზნის ქვეშ გაერთიანებული ეროვნული მიზნები, ინდიკატორები, ამოცანები და აუცილებელი წინაპირობები. ასევე,

მითითებულია, თუ რომელ აიტის მიზანს შეესაბამება თითოეული ეროვნული მიზანი. ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება ქმედებების ერთობლიობა, რომელთა განხორციელებაც დაგვეხმარება ეროვნული, საბოლოოდ კი, გლობალური სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. თითოეული ქმედებისთვის მითითებულია განხორციელების ვადები და განმახორციელებელი უწყებები და ორგანიზაციები. დოკუმენტის ბოლო ნაწილი ეძღვნება გეგმის განხორციელებისა და რესურსების მობილიზების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათალისწინებული იყო „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის სამუშაო პროგრამა - „გენდერი და ბიომრავალფეროვნება“.

ბიომრავალვეროვნების სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმის დოკუმეტის სხვადასხვა თავზე მუშაობდნენ სახეობათა კონსერვაციის ცენტრი NACRES, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა (WWF Caucasus PO), კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Causasus), ელკანა, ეკოხედვა, მწვანე ალტერნატივა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონსულტაციების პროცესში ჩართული იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს საპატრიარქო.

1.7 მეხუთე ეროვნული ანგარიში

კონვენციის 26-ე მუხლის შესაბამისად და მხარეთა კონფერენციის X/10 გადაწყვეტილების მიხედვით, მეხუთე ეროვნული ანგარიშის გაგზავნის ბოლო ვადად 2014 წლის 31 მარტი განისაზღვრა. მეხუთე ეროვნული ანგრიშების მიზანს წარმოადგენდა 2011-2020 ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის შესრულების მდგომარეობის შეფასება, რომლის განხილვაც კონვენციის მხარეთა მე-12 კონფერენციაზე უნდა მომხდარიყო. კონვენციის სახელმძღვანელოს მიხედვით, მეხუთე ანგარიში უნდა შემდგარიყო სამი ძიითადი ნაწილისაგან:

1. ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის, არსებული ტენდენციებისა და საფრთხეებისა და ადამიანის კეთილდრეობაზე მათი შედეგების შესახებ ინფორმაცია;
2. ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, მისი განხორციელება და და ბიომრავალფეროვნების თემატიკის გათვალისწინება;
3. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების აიტის 2015 და 2020 წლების მიზნების შესრულების მდგომარეობა და ათასწლეულის განვითარების 2015 წლის შესაბამისი მიზნების შესრულებაში შეტანილი წვლილი.

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისადმი საქართველოს მეხუთე ეროვნული ანგარიში მომზადდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ GIZ-ის პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ ტექნიკური დახმარებით. მეხუთე ეროვნული ანგარიში მოამზადა ანა რუხაძემ (GIZ-ის პროექტის „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ კონსულტანტი). დოკუმენტის ტექსტი მომზადებასა და რედაქტირებაზე მუშაობდნენ ანა რუხაძე, იოსებ ქარცივაძე (ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსი, კონვენციის პასუხისმგებელი პირი) და მარიამ ურდია (GIZ-ის პროექტი „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“).

ეროვნული ანგარიში ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა თემატურ ანგარიშებს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, ასევე მათ სინთეზურ ანალიზს, რომლებიც მომზადდა ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესის საწყის ეტაპზე (იხ. დანართი 1). ანგარიში კონვენციის სამდივნოს გაეგზავნა 2015 წლის 10 ივნისს.

მეხუთე ეროვნულ ანგარიშში ასახულია ბიომრავალფეროვნების მეორე სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაში მოცემული საკითხები. ანგარიში ხაზს უსვამს საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებით მიღწევებს (დაცულმა ტერიტორიებმა ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 9% შეადგინა); სახეობებს, რომელთაც ყველაზე მეტად ემუქრებათ გადაშენების საფრთხე. ბიომრავალფეროვნების შემცირების მიზეზებად დასახელებულია:

- მოსახლეობის სიღარიბე, რაც ადამიანებს ბუნებრივი რესურსების არამდგრადი გამოყენებისკენ უბიძგებს ენერგიის, საკვებისა თუ ფინანსური სარგებლის მისაღებად;
- საზოგადოების მიერ ბიომრავალფეროვნების ფასეულობებისა და მისი შენარჩუნების მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა;
- პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და პროგრამებში ბიომრავალფეროვნების ფასეულობის არასაკმარისი ხარისხით ასახვა;
- საკანონმდებლო ხარვეზები ბიოლოგიური რესურსების გამოყენების რეგულირების სფეროში;
- არასაკმარისი რესურსები ბიომრავალფეროვნების დაცვის კანონმდებლობის და პროცედურების განხორციელებისთვის.

აღნიშნულ მიზეზებს მივყავართ ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირ მოქმედ ფაქტორებამდე, როგორებიცაა: ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირება და ფრაგმენტაცია, ბუნებრივი რესურსების ჭარბი გამოყენება, გარემოს დაბინძურება, უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელება და კლიმატის ცვლილება.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს ახალი კანონმდელობის შემუშავება (გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ტყის კოდექსი), რომელიც, ანგარიშში გამოთქმული ვარაუდით, 2015 წლის ბოლოსთვის დასრულდებოდა.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფორმაციას „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის საპილოტე კვლევის (TEEB scoping study)“ შესახებ, რომელიც განხორციელდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისის (WWF Caucasus PO) თანამშრომლობით[23]. ამ კვლევამ გამოავლინა ეკონომიკის ხუთი ძირითადი სექტორი (ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, წიაღისეული რესურსების მოპოვება და სატყეო მეურნეობა), რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ბუნებრივ კაპიტალსა და ეკოსისტემურ სერვისებზე; შემუშავდა გზამკვლევი ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის სრულყოფილი კვლევისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურ განვითარებასა

[23] UNEP and WWF, 2013. TEEB Scoping Study for Georgia. United Nations Environment Programme, (UNEP), Geneva, Switzerland ავტორები: ირაკლი მაჭარაშვილი (მწვანე ალტერნატივა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მალხაზ ადეიშვილი, სალმან ჰუსაინი (აბერდინის კოლეჯი, UNEP), კავიტა შარმა (UNEP). www.teebweb.org.

და ბიომრავალფეროვნებას შორის მჭიდრო კავშირის დემონსტრირება და ბუნებრივი კაპიტალის ღირებულების ინტეგრირება ეკონომიკურ პოლიტიკაში. ეროვნულ დონეზე კონვენციის დანერგვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად აღებულია:

- NBSAP-ის განხორციელებისათვის რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს დაფინანსების ყველა არსებულ წყაროს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტს, დონორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს, ასევე დაფინანსების ახალ, ინოვაციურ ხერხებს, მაგალითად პარტნიორობას კერძო სექტორთან;
- ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების ეკონომიკური ღირებულებების შეფასება და მათი შედეგების ინტეგრირება საქართველოს ეკონომიკის 5 მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების სტრატეგიებში;
- დაცული ტერიტორიების სისტემის შემდგომი განვითარება, დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბება, მართვის ეფექტურობის გაძლიერება და ფინანსური მდგრადობს უზრუნველყოფა;
- სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელება, ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შემდგომი განვითარება და სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეფექტიან დაგეგმვას;
- ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის, ცნობიერების დონისა და განათლების ამაღლება ბიომრავალფეროვნების, არსებული საფრთხეებისა და მათი გადაჭრის გზების ასევე, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების ეკონომიკური ღირებულებების შესახებ.

2. ინსტიტუციური მოწყობის მიმოხილვა

საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებში კომპეტენტურ ორგანოებს, წარმოადგენენ (უნდა წარმოადგენდნენ) შემდეგი სამთავრობო უწყებები:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ენერგეტიკის სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში - ავტონომიური რესბუბლიკების შესაბამისი უწყებები (მაგ: სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო[24], აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო[25]).

[24] წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №55 (07.12.2010) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ ამ უწყებების ფუნქციებს, მათი დებულებების მიხედვით; ასევე, თუ რამდენად ადეკვატურად არის ასახული დებულებებში მათი როლი ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგაში და რამდენად შეესაბამება ის ქვეყნის დეკლარირებულ მიზნებს.

2.1 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითადი ამოცანებს მიკუთვნებული საქმიანობებიდან, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე დანერგვისა და ანგარიშგების საკითხებთან კავშირშია შემდეგი:

- გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის) სარგებლობის სახელმწიფო მართვა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- დაცული ტერიტორიების სისტემის დაფუძნების, ფუნქციონირებისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, მოქმედებათა კოორდინირება და კონტროლი;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგი;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება;
- „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინირება და მონიტორინგი;
- კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფოს სახელით ურთიერთობა საერთაშორისო ინსტიტუტებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, არასამთავრობო, აკადემიურ და

[25] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №53 (07.12.2010) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

სხვა სახის ორგანიზაციებთან, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო პროცესების სამდივნოებთან;

- კომპეტენციის ფარგლებში ევროინტეგრაციის პროცესში მონაწილეობა და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულების შესრულება (ევროკავშირთან ასოცირების ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება არის NBSAP-ის სრულფასოვანი შეფასება, ასევე „ზურმუხტოვანი ქსელის“ შექმნა და სხვ.).

ბიომრავალფეროვნების საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე სამინისტროს მიერ შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესრულებისას:

- გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადება;
- გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის მომზადება.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები და სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ები

ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვაში უნდა მონაწილებდნენ და ეროვნული მოხსენების შედგენაში წვლილი უნდა შეჰქონდეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა უწყებებსა და სტრუქტურული ერთეულებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო („ტყის ფონდის“ მართვა, გარდა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ავტონომიური რესპუბლიკების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ტყეებისა; ამ ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება).
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (ბუნებრივი რესურსების ლიცენზირება);
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო (დაცული ტერიტორიების მართვა, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე).
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი ბაზის შექმნა და ადმინისტრირება; ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და სარგებლობასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა; ,,მწვანე ეკონომიკისა” და ,,მწვანე ბიზნესის” პრინციპების დანერგვა; გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის და ინფორმირებულობის ხელშეწყობა და სხვ.) ცენტრი შექმასთან დაკავშირებით საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილება, სადაც აღნიშნულია, რომ „საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების, შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს სისტემაში იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი[26]“.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულები:

[26] 25.03.2013. #469

- ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური (ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე დანერგვის კოორდინირება - იხ. დაწვრილებით ქვევით).
- სატყეო პოლიტიკის სამსახური (ტყეების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა, შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაცია და მონიტორინგი; საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის განსახორციელებლად სტრატეგიული გეგმების შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი; საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის პროცესის კოორდინაცია).
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (შემდგომში – ნებართვა) გაცემა, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ექსპერტიზის პროცესის ორგანიზება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენა.
- გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი (მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის[27] პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა; გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო რეგულირების სფეროში ეკონომიკური მექანიზმებისა და ნორმატივების შემუშავება; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში მონაწილეობა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კოორდინირება და მონიტორინგი; ევროინტეგრაციის პროცესში სამინისტროს მონაწილეობის კოორდინაცია; საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების ეროვნული პასუხისმგებელი/ საკონტაქტო პირების საქმიანობის კოორდინაცია; საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების გაფორმების ინიციირება და პროცედურულ ღონისძიებათა ორგანიზებაში მონაწილეობა).
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა; საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება; საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს საქმიანობისა და გარემოსდაცვით სფეროში მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება; სამინისტროს ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირება).
- სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა და პრევენცია).

ამრიგად, შესაძლებელია იყოს გარკვეული გადაფარვები ზოგიერთი სამსახურის ამოცანებსა და მოვალეობებს შორის (გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი - ბიომრავალფეროვნების სამსახური; სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და სხვ.), ვინაიდან დებულებებში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეს ფუნქციები. დებულებებში გამეორებული

[27] ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და NBSAP ერთ-ერთი პრიორიტეტი არის TEEB

ფრაზა „კომპეტენციის ფარგლებში“ ხშირად არაფრისმთქმელი და დამაბნეველია - დებულებების ტექსტიდან გაუგებარია, რომელი სამსახურის კომპეტენცია სად იწყება და სად მთავრდება.

2.2 სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ამ სამინისტროს საქმიანობა უკავშირდება აგრობიომრავალფეროვნებასთან და ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებს, თუმცა დებულებაში ისინი არ არის მკაფიოდ გაწერილი. სამინისტროს დებულებაში (მუხლი 2. სამინისტროს მმართველობის სფერო და ამოცანები). მხოლოდ შემდეგი ჩანაწერებია: „ქვეყანაში აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით“; „ქვეყანაში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა“[28]. მდგრადი განვითარების პრინციპების, ეკოსისტემური მიდგომის გარეშე დაგეგმილი სამელიორაციო სისტემები და ჭარბი, უსისტემო ძოვება წარმოადგენენ საქართველოში ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს[29].

2.3 ენერგეტიკის სამინისტრო

დებულების თანახმად, სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ენერგეტიკის დარგში, ახორციელებს ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგს, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას, შეისწავლის შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს; ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამისათვის აუცილებელი ქმედებების განხორციელებას; უზრუნველყოფს ენერგეტიკის დარგში პროექტების განხორციელებას[30].

სამინისტროს დებულება არაფერს ამბობს საქმიანობის პროცესში გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობაზე, თუმცა NBSAP-ის მიხედვით, ამ სამინისტროსთან დაკავშირებული საქმიანობა ბიომრავალფეროვნების შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს (თავი 11. „გამჭოლი საკითხები და მმართველობა“). სამინისტროს ხელმძღვანელობის არაერთი განცხადების შესაბამისად (როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ისე „ქართული ოცნების“ მიერ ფორმირებული მთავრობის“), მათი ძირითადი პოლიტიკა „რესურსების მაქსიმალურ ათვისებას გულისხმობს. აღნიშნული შინაარსი შემდეგნაირადაა ფორმულირებული სამინისტროს დებულებაში: სამინისტრო „ხელს უწყობს რესურსების მოპოვების გაფართოებას, განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების უპირატეს ათვისებას, ენერგოეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ეფექტიანობის გაზრდასთან“. დებულებაში მხოლოდ ერთი ფრაზა მიანიშნებს გარემოსაცვითი სამინისტროს ვალდებულებების შესახებ: „ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრავს ღონისძიებათა პრიორიტეტულ მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მათ განხორციელებას“. სინამდვილეში, სამინისტრო, მთავრობის სახელით, ხელს აწერს ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს ახალი ელექტროსადგურების აშენების შესახებ, სადაც გზშ

[28] საქართველოს მთავრობის დადგენილება #485, 28.12. 2012 „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

[29] 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

[30] საქართველოს მთავრობის დადგენილება #97, 26.04.2013 „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

ჩატარებამდე უკვე განსაზღვრულია ამ სადგურების მდებარეობა, დიზაინი და ძირითადი პარამეტრები[31]. აღნიშნული გარემოება, პრაქტიკულად აზრს უკარგავს გზშ პროცესს. ამასთანავე, ენერგეტიკის სამინისტრო, როგორც წესი აჭარბებს თავის უფლებამოსილებას და ერევა ელექტოსადგურების მშენებლობისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში. პრაქტიკულად ყველა პროექტის საწყის ეტაპზე, მანამდე სანამ ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება, ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობა აკეთებს ხოლმე განცხადებას, რომ ის აუცილებლად განხორციელდება. ამით, ენერგეტიკის სამინისტრო ზეწოლას ახდენს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ისე ნებართვის გამცემ უწყებებზე. სამინისტროს მიერ ინვესტორებისათვის შეთავაზებული პროექტების დიზაინი (რომლებიც აისახება ხოლმე ინვესტრებსა და სამინისტროს შორის დადებულ მემორანრუმებში) შედგენილია გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულებელყოფით (მაგ., მემორანდუმებში დაფიქსირებული ჰესების დადგმული სიმძლავრე გათვლილია მდინარის 10%-იან „სანიტარულ ხარჯზე“, რაც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მოთხოვნების უხეში დარღვევაა და ამასთანავე, ეწინააღმდეგება არაერთ ევროკავშირის დირექტივას). სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები ვერ ერკვევიან გზშ პროცესის მნშვნელობასა და არსში. მათ წარმოდგენილი აქვთ, რომ გზშ დასკვნა აუცილებლად დადებითი უნდა იყოს, ხოლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უნდა დაეხმაროს კომპანიებს დასკვნის შედგენაში და სასურველი ნებართვის მიღებაში და არა ნეიტრალური არბიტრის როლი შეასრულოს. ის რომ გზშ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო (მათ შორის ბიომრავალფეროვნების კონვენციით) და ეროვნული კანონმდებლობით, ენერგეტიკის სამინისტროსათვის მიუღებელია.

2.4 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკომონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები მოიცავენ ისეთ აქტივობებს, რომლებსაც უშუალო ზეგავლება აქვს ბიომრავალფეორვნების მდგომარეობაზე და ეროვნულ დონეზე კონვენციის დანერგვაზე: ეკონომიკური პოლიტიკა; მდგრადი განვითარება; ტურიზმი; ურბანული განვითარება და სივრცით-ტერიტორიული მოწყობა; მშენებლობა; ტრანსპორტი და ლოგისტიკა; ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია; რესურსდამზოგავი წარმოების სახეების წახალისება; წარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის და მომსახურების სფეროებში ენერგოეფექტური ღონისძიებების წახალისება და კოორდინაცია; მწვანე ეკონომიკის წახალისებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება; ტურიზმისა და კურორტების განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და რეალიზაცია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა; სამშენებლო-საპროექტო ნორმებისა და წესების შემუშავების ორგანიზება და კოორდინაცია[32]. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები კონვენციის ანგარიშგებისა და მონიტორინგის საკითხებშიც უნდა იყოს ასახული. ამ საკითხებთან დაკავშირებით საქმიანობენ ამინისტროს ცენტრალური აპარატის (სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი; მდგრადი განვითარების სამმართველო) და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ – სახელმწიფო ქონების

[31] საქართველოს მთავრობის დადგენილება #214 21.08.2013 „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“

[32] საქართველოს მთავრობის დადგენილება #70, 11.02.2016 „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

ეროვნული სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო).

სამინისტროს ერთ-ერთ ძირითადი ფუქციის შესრულება, რომელიც მის სათაურშივეა მოცემული - „მდგრადი გავვითარება“ - მინდობილია მდგრადი განვითარების სამმართველოზე, რომელშიც დღეისათვის მხოლოდ ერთი ადამიანია დასაქმებული[33] და პრაქტიკულად ვერანაირი წვლილი ვერ შეაქვს ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემა და მათზე მონიტორინგი არ ხდება გარემოს (ბიომრავალფეროვნების) დაცვის საჭიროებების გათვალისწინებით.

2.5 ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე და გავლენას ახდენს გარემოს (ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე): საქართველოში წყლით უზრუნველყოფის განვითარების, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება[34].

2.6 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა. სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების განვითარებასა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებას. სამინისტრო ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან[35].

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 8), საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების მიზნით იქმნება გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებათა, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს. ამავე კანონის მე-9 მუხლით, „გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემია მოიცავს

[33] 2016 წლის თებერვლის მდგომარეობით.

[34] საქართველოს მთავრობის დადგენილება #10, 30.01.2009 „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

[35] საქართველოს მთავრობის დადგენილება #37, 21.05.2004 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს. გარემოს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ სავადებულო ცოდნის მინიმუმის დაუფლება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამით. საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში განსაზღვრულია გარემოს დაცვის მართვის, ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი პროფილის სხვა საგნების სპეციალური კურსით სწავლება. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვანი მოთამაშეა ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნულ დონეზე დაგეგმვის საქმეში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის („მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები“) თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებს განეკუთვნება „ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით“. თუმცა, ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები გამოყოფილი პრაქტიკულად არ არის და მათი როლიც ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვაში მინიმალურია. გამონაკლისს წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების კატეგორიები „დაცული ლანდშაფტი“ და „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“. რომელთა მართვასაც ადგილობრივი თვიითმმართველობის ორგანოები უნდა ახორციელებდნენ. კერძოდ, ასეთებია: თუშეთის დაცული ლანდშაფტი და ფშავ-ხევსურეთისა და ჯავახეთის ეროვნული პარკების ბუფერული ზონები, ანუ მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები.

3. მონიტორინგისა და ანგარიშგების შესაძლებლობების შეფასება

ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების კონვენციის მოთხოვნების შესრულებისა და მონიტორინგის ეფექტურობა დამოკიდებულია კონვენციის ანგარიშგების/დანერგვის ინსტრუმენტების (ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, ეროვნული მოხსენება) ხარისხზე, დროულ მომზადებასა და სრულყოფილად განხორციელებაზე. როგორც აღვნიშნეთ, კონვენციისადმი წარსადგენი ანგარიშგების დოკუმენტები მნიშვნელოვანი დაგვიანებით მომზადდა. გამონაკლისს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების მეორე სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (იხ. ცხრილი 1).

დაგვიანებით მომზადების გამო, ეროვნული ანგარიშგების დოკუმენტები არ თამაშობდნენ მნიშვნელოვან/სათანადო როლს კონვენციის ფარგლებში საქართველოში ჩატარებული საქმიანობების მიმოხილვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამავე მიზეზით, ისინი არ იძლეოდნენ საშუალებას, რომ მხარეთა კონფერენციას მუდმივად ედევნებინა თვალი საქართველოში კონვენციის დანერგვისათვის. დაგვიანებით მომზადებისა და კონვენციის სამდივნოსათვის ვადების დარღვევით მიწოდების გამო, საქართველოს ეროვნულ მოხსენებებს არ შეუტანიათ მნიშვნელოვანი წვლილი გლობალურ დონეზე ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის საქმეში; საქართველოს ეროვნული ანგარიშები არ წარმოადგენდნენ წყაროს "ბიომრავალფეროვნების გლობალური პერსპექტივის“ (Global Biodiversity Outlook) დოკუმენტების მომზადებისა და/ან კონვენციის მომავალი გლობალური მიზნების განსაზღვრისათვის.

ცხრილი 1. ბიომრავალფეროვნების კონვენციის ანგარიშგების დოკუმენტების მომზადების შესაბამისობა კონვენციის მიერ დადგენილ პერიოდთან და მიზნებთან

ანგარიშგების დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის მომზადების თარიღი	კონვენციის მიერ დადგენილი დოკუმენტის მომზადების ვადა	კონვენციის მიზანი, რომელსაც უკავშირდებოდა ეროვნული ანგარიშგების დოკუმენტის მომზადება
პირველი ეროვნული მოხსენება	მომზადებულია 1999 გამოქვეყნებულია 2003	30.06.1997	კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შეფასება ეროვნულ დონეზე
პირველი ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა	10.02.2005	2001	2002 წ. კონვენციის „პირველი სტრატეგიული გეგმა“
მეორე ეროვნული მოხსენება	06.05.2010	15.05. 2001	კონვენციის დანერგვის მდგომარეობის შეფასება 2001 წლისათვის. „კონვენციის პირველი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება“. 2002 წ. COP 6 (ჰააგა, ნიდერლანდები)
მესამე ეროვნული მოხსენება	06.05.2010	15.05.2005	კონვენციის დანერგვის მდგომარეობის შეფასება 2005 წლისათვის. Global Biodiversity Outlook მეორე გამოცემის მომზადება (2006). წარდგენილი უნდა ყოფილიყო COP 8-მდე (2006 წლის მარტი)
მეოთხე ეროვნული მოხსენება	30.03. 2010	30.03.2009	ნაგოია, იაპონია, აიჩის მიზნების შემუშავება (2010 წ. ოქტომბერი). კონვენციის სტრატეგიული გეგმა 2011-2020 Global Biodiversity Outlook მესამე გამოცემის მომზადება (2010).
მეორე ბიომრავალეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა	08.05. 2014	2015 -მდე	აიჩის მიზნების შესაბამისი ეროვნული პროგრამის შემუშავება (მე-17 მიზანი)
მეხუთე ეროვნული მოხსენება	10.06.2015	31.03.2014	2011-2020 ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის შესრულების მდგომარეობის შეფასება, რომლის განხილვაც კონვენციის მხარეთა მე-12 კონფერენციაზე (2014 წ. 6-17 ოქტომბერი) უნდა მომხდარიყო. Global Biodiversity Outlook მეოთხე გამოცემის მომზადება (2014).

ეროვნული ანგარიშების მოსამზადებლად კონვენციით დადგენილი ვადების დარღვევა არ არის ყურადსაღები, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ისინი არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და რესურსების მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვისათვის. უფრო მნიშვნელოვან ბარიერს/პრობლემას წარმოადგენს, რომ ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღებნი ნაკლებად იცნობენ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ეროვნულ მიზნებს და ბიომრავალფეროვნების კონვენციასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ან არ აღიარებენ მათ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ენერგეტიკის სამინისტროს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისამართით. ბიომრავალფეროვნების მართვასა და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული უწყებები (დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, აჭარის სატყეო სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო და სხვ.) პრაქტიკულად არ მონაწილეობენ ეროვნული მოხსენებების მომზადების პროცესში; ცუდად ან საერთოდ არ იცნობენ ბიომრავალფეროვნების სტატეგიასა და მოქმედებათა გეგმას და შესაბამისად არ იყენებენ მას გზამკვლევად/ სახელმძღვანელოდ საკუთარ საქმიანობაში. მაგალითად, შესაბამისი უწყებები და სტრუქტურული ერთეულები ყურადღებას არ აქცევენ ბიომრავალფეროვნების კონვენციის „დაცული ტერიტორიების“, „ტყის ბიომრავალფეროვნების“, „ზღვისა და სანაპირო ზოლის ბიომრავალფეროვნების“, „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ და სხვა სამუშაო თემატური პროგრამების მიმდინარეობას, შესრულებას და ანგარიშგებას. სამწუხაროდ, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს აქვს დამოკიდებულება, რომ ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი ანგარიშგება და მისი მოთხოვნების შესრულება მხოლოდ ბიომრავალფეროვნების სამსახურს ეხება. ყოფილა შემთხვევები, რომ სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები საკუთარ პრიორიტეტებს სახავდნენ და სამოქმედო გეგმებს ადგენდნენ, მაგრამ არ ახსოვდათ, რომ ისინი უკვე გაწერილი იყო ბიომრავალფეროვნების სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმებში (ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1999-2013 წლებში შემუშავებული ათზე მეტი სატყეო რეფორმის დოკუმენტი; დაცული ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტები[36]).

ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები ნაწილობრივ არის ინტეგრირებული სექტორულ და სექტორთაშორის გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში. ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეხუთე ეროვნული ანგარიშის თანახმად, ბიომრავალფეროვნების მეორე სტრატეგიასა და მოქმედებათა გეგმაში მოცემული საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებში: სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020), საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია[37] (2013), საქართველოს სოციალური ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“[38] და 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა[39]. ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია დღემდე არ არის შემუშავებული. გარდა ზემოხსენებულისა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული საკითხები აღნიშნულია სხვადახვა წლების სამთავრობო პროგრამებში, ეროვნული უშიშროების კონცეფციაში, გარემოს დაცვის ეროვნულ პროგრამაში და სხვ.

[36] წყარო: დაცული ტერიტორიების საკონსულტაციო საბჭოს სხდომები

[37] საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-Iს, 11.12.2013

[38] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით №400, 2014 წლის 17 ივნისი

[39] დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №1215 დადგენილებით, 2014 წლის 9 ივლისი

თუმცა, ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრაციას მომიჯნავე სექტორების სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმებში, ხშირად კი - გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებშიც, ფორმალური ხასიათი აქვს. კონკრეტული საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების დროს, როგორც წესი, არ ხდება ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიებითა და მოქმედებათა გეგმებით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინება. მაგალითად, 2007 წელს ხეტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიები გაიცა მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებში (სამეგრელოს მთიანეთი, სვანეთი, მესხეთი), თუმცა 2005 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ამის საწინააღმდეგო ამოცანებს სახავდა. აღნიშნული ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული მინისტრის ბრძანებები მწვანე ალტერნატივამ სასამართლოში გაასაჩივრა, მათ შორის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილებასთან (19.02.2005, N27) შეუსაბამობის გამო. სასამართლო პროცესზე სამინისტროს პოზიცია ასეთი იყო: ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმის თანახმად, მაღალი კონსერვაციული ტყეების დაცვის უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო 2010 წლამდე პერიოდში, ხოლო ლიცენზია 2007 წელს გაიცა, შესაბამისად კანონმდებლობა არ დარღვეულა[40]. განსაკუთრებით პრობლემურია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საპროგრამო დოკუმენტებში მოცემული ამოცანების უგულებელყოფა ჰესების მშენებლობასთან და წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებული კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას. მაგალითად, ნენსკრა-ჰესის მშენებლობაზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცა იმ ტერტორიაზე, სადაც ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, დაგეგმილი იყო სვანეთის ეროვნული პარკის დაარსება. დაცული ტერიტორიების დაარსების აუცილებლობა ცენტრალურ კავკასიონზე (ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) აღნიშნულია ყველა სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ და კონვენციისადმი წარდგენილ დოკუმენტში 1999 წლიდან. თუმცა, დაცული ტერიტორიების შესაქმნელად კონკრეტული ნაბიჯებისგან სახელმწიფო თავს იკავებს, ვინაიდან უპირატესობას ანიჭებს აღნიშნულ რეგიონებში ხეტყის დამზადებისა და ჰესების მშენებლობის ინტერესებს[41]. სამწუხაროდ, დადებითი ეკოლოგიური დასკვნების შემუშავებაში ისეთი საქმიანობებისათვის, რომლებიც შეუქცევად ზემოქმედებას ახდენენ ბიომრავალფეროვნებაზე და შესაბამისად, ეწინააღმდეგებიან ბიომრავალფეროვნების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას (ეროვნული კანონმდებლობა, ბიომრავალფეროვნების კონვენციის შესაბამისი თემატური პროგრამების დოკუმენტები, ბერნის კონვენცია, ევროკავშირის ჰაბიტატების და წყლის ჩარჩო დირექტივა და სხვ.) მონაწილეობას იღებენ სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახურის წარმომადგენლები.

ეროვნული სტრატეგიებისა და მოქმედებათა გეგმების, ასევე ეროვნული მოხსენებების დოკუმენტებში მოცემული საქმიანობის შედეგების ანალიზი და მონიტორინგი არ ხდება სათანადო დონეზე. ხშირ შემთხვევაში, ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ გარკვეული ქმედებები უკვე შესრულებულია, მიმდინარეა ან უახლოეს პერიოდში განხორციელდება. თუმცა, სინამდვილეში, შემდგომ სააგნარიშო პერიოდში ქმედებები ან საერთოდ არ სრულდება, ან არ გრძელდება. მაგალითად, ხუთივე ანგარიშში საუბარია მიმდინარე სატყეო რეფორმაზე, რომელიც პრაქტიკულად არასდროს განხორციელებულა; არაერთ ანგარიშში კონვენციის დანერგვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მოცემულია „ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრის ინიცირება“ (www.chm.moe.gov.ge) . სამწუხაროდ, ეს ვებ-

[40] სასამართლო პროცესებზე მწვანე ალტერნატივას ინტერესებს წარმოადგენდნენ: ირაკლი მაჭარაშვილი, თამარ კორძაია; სამინისტროს ინტერესებს - ალექსანდრე ჩანქსელიანი, ვასილ ჩალაძე და სხვ.

[41] კანონპრექტის შემუშავება რამდენჯერმე დაიწყო, თუმცა პროცესი შეფერხდა ენერგეტიკის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და სხვა უწყებების მიერ

გვერდი (რომელიც თავის დროზე საკმაოდ ინფორმატიული და კარგად მომზადებული იყო) ორ წელზე მეტია არ მუშაობს. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გვერდზე (http://biomonitoring.moe.gov.ge) განთავსებული ბოლო სიახლეები 2012 წელს ეკუთვნის. ბიო-მონიტორინგის ბმული, სადაც უნდა განთავსებული იყოს შედეგები, საერთოდ არ იხსნება. მონიტორინგის შედეგები (წლიური ანგარიშები)არ არის განთავსებული.

როგორც წესი, ანგარიშგების დოკუმენტებში ასახული ძირითადი პრობლემები ერთი ეროვნული მოხსენებიდან მეორეში გადადის. განსაკუთრებით ეს ეხება ბიომრავალფეროვნების საკითხების დანერგვას სხვადასხვა მომიჯნავე სექტორში, ასევე ბრაკონიერობასთან და ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვ.

ეროვნული მოხსენებები პრაქტიკულად არ წარმოადგენენ კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებას (რასაც მოითხოვს კონვენცია). მოხსენებები ქართულ ენაზე არ იყო გამოქვეყნებული სამინისტროს ვებ-გვერდზე და მხოლოდ კვლევის პროცესში კომუნიკაციის შემდეგ განთავსდნენ ისინი სსიპ ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე. თუმცა განთავსებული ინფორმაცია არ არის სისტემატიზებული. ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნული მოხსენებები განთავსებულია სხვა კონვენციებთან დაკავშირებულ (ძირითადად CITES) სამუშაო დოკუმენტებთან ერთად, სექციაში „ბიომრავალფეროვნება-მონაცემები“. ბიომრავალფეროვნების სხვა კონვენციების (ბონის კონვენცია და მისი სამი შეთანხმება, რამსარის კონვენცია, CITES, ბერნის კონვენცია) ანგარიშგების დოკუმენტები საერთოდ არ არის ამ ვებ-გვერდზე განთავსებული. ასევე გაურკვეველია ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრისა (www.chm.moe.gov.ge) და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის (http://biomonitoring.moe.gov.ge) ვებ-გვერდების მომავალი.

ბიომრავალფეროვნების მართვასა და რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული უწყებები და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები სათანადო დონეზე არ მონაწილეობენ კონვენციის დანერგვაში. ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვასთან/ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხები უმეტესწილად არ არის გაწერილი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და უწყებების დებულებებსა თუ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. რიგ შემთხვევებში მათ სტრუქტურიზირებული სახით არ გააჩნიათ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მაგალითად, გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების საკითხებზე, არ ფლობს სრულყოფილად, ან ზოგ შემთხვევაში, ფლობს და არ გასცემს ინფორმაციას შიდა წყალსატევებში და შავ ზღვაზე გაცემული თევზჭერის ლიცენზიების, წყალსატევებისა და თევზების სახეობების მიხედვით მოპოვების კვოტებისა და ფაქტიური მოპოვების მიხედვით. მათ შორის, გარემოს ეროვნული სააგენტო თევზჭერის კვოტების (უკვე დამტკიცებული მოპოვების კვოტები, რომელთა შესახებ ლიცენზიები ათი წლით არის გაცემული) შესახებ ინფორმაცია არ აწოდებს ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვის საკითხებში სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პარტნიორს - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. საგულისხმოა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ არის მომზადებული NBSAP-ის თავი „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება“ და ამავე სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, მუშაობს ზღვის ძუძუმწოვრების კონსერვაციაზე. სწორედ ამ კვლევისთვის ესაჭიროება მონაცემები უნივერსიტეტს, რომლის გაცემაზეც გარემოს ეროვნული სააგენტო უარს აცხადებს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, საჯარო სამსახურის პარალელურად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემით დაინტერესებული პირების კომერციულ შეკვეთებსაც

ასრულებენ (მოპოვების კვოტების დადგენა, გზშ ანგარიშების მომზადება)[42]. სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების ვებ გვერდებზე არ მოიპოვება სამონადირეო მეურნეობების მენეჯმენტის გეგმები და ხე-ტყის დამზადების გრძელვდიანი ლიცენზიების მფლობელთა ტყის მართვის გეგმები. არ ხდება სხვადასხვა საქმიანობაზე გაცემული, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების პირობების მონიტორინგი და დარღვევებთან დაკავშირებული კანონის აღსრულება (მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული პირობები, ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტებში). აღნიშნული პრობლემები მწვავედ არის განხილული გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის 2016 წლის ანგარიშში ENVIRONMENTAL PERFORMANCE REVIEWS GEORGIA, Third Review, 2016.

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ყოველდღიური მუშაობის დაგეგმვისას ტრადიციულად არ ხდებოდა ბიომრავალფეროვნების კონვენციის ვალდებულებების გათვალისწინება. ამის გამო, ეროვნული მოხსენების მომზადებისას, საჭირო ხდებოდა ყველა ზემოხსენებული უწყებიდან მონაცემების მოძიება და მოხსენების (ანგარიშგების) ფორმისთვის მისადაგება. შედეგად, კონვენციისადმი ეროვნული ანგარიშგების პროცესი მოკლებული იყო ეფექტურობას.
სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ებისა და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით. თითქმის არც ერთი თანამდებობის დასაკავებლად არ არის მოთხოვნილი ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის ცოდნა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ არის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსარურის უფროსის თანამდებობა, რომელსაც მოეთხოვება სახელმწიფოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ცოდნა[43].

ზემოხსენებული ხარვეზების გამოსასწორებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა მეორე გეგმის მომზადება გამჭვირვალე, მონაწილეობითი პროცესის საფუძველზე და დროულად, კონვენციის მიერ დადგენილ ვადებში დამტკიცება.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (NBSAP) განხორციელებაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის საბჭო“. საბჭოს შექმნის მიზანია NBSAP განხორციელებაზე მონიტორინგის წარმოება, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების, საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მიერ დასმული საკითხების ოპერატიულად განხილვა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება. საბჭოს თავმჯდომარეა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოს წევრები: ენერგეტიკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრების მოადგილეები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებელი პირები, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა ამისა, NBSAP-ის გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა თემატური სამუშაო ჯგუფები. მაგალითად, საზოგადოების მონაწილეობის, ცნობიერების ამაღლებისა და განათლების სამუშაო ჯგუფს

[42] წყარო: ინტერვიუები, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია

[43] წყარო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებები სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცებისა და მათ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი გამოყენებული წყაროები)

კოორდინაციას უწევს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. სამწუხაროდ, მინისტრის ბრძანებები, საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ[44], ისევე როგორც საბჭოს შეხვედრების ოქმები, არ არის ხელმისაწვდომი სამინისტროს ვებ-გვერდზე.

სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს მოეთხოვება, რომ კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მიაწოდოს საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის, პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების და საერთაშორისო ორგანიზაციების/პროცესების ეგიდით საქართველოში მიმდინარე ქმედებების შესახებ ინფორმაცია, ასევე შესაბამის სამდივნოებში წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ასლები. თუმცა ეს დეპარტამენტი არ ღებულობს მონაწილეობას არც ბიომრავალფეროვნების ეროვნული მოხსენებების შედგენაში, არც ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსთან ურთიერთობს. გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ფუნქციებსა და ამოცანებში შედის გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამით, რეგიონული და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა გეგმებით, ასევე, დარგობრივი გარემოსდაცვითი გეგმებით (მათ შორისაა ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა) გათვალისწინებული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზება და პროგრამებისა და გეგმების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე მისი პასუხისმგებელი პირი (National Focal Point) იყო ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი/სამსახური. სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ სტრუქტურული ერთეულის შესაძლებლობები ამა თუ იმ კუთხით არ იყო საკმარისი/შესაბამისი კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების სრულფასოვნად შესასრულებლად, მათ შორის, ეროვნული ანგარიშების მოსამზადებლად.

ადრეულ ეტაპზე ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში შექმნილი იყო კონვენციური სამსახური, რომლის მოვალეობას წარმოადგენდა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებზე მუშაობა, მათი ქვეყანაში დანერგვის საკითხების კოორდინირება და სამდივნოებთან ურთიერთობა (როგორც მიმდინარე საკითხები, ისე რეგულარული ანგარიშგება). იმ პერიოდში საქართველო იყო შემდეგი საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების მხარე:

- კონვენცია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (1994-დან);
- ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' CITES (1996-დან);
- კონვენცია ,,საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ'' რამსარის კონვენცია (1997-დან);
- ,,ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ'' კონვენცია (2000-დან);
- ,,აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2001-დან);
- ,,შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2001-დან);

[44] 04.11.2014, #667 და 02.12.2014, #745

- „ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2002-დან).

ამ პერიოდში სამინისტროს, ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტისა და მისი კონვენციური სამსახურის შესაძლებლობები მეტად მწირი იყო. მოსამსახურის საშუალო ხელფასი 50-80 ლარს შეადგენდა (პრემიები და დანამატები არ გაიცემოდა). სამსახურს არ ჰქონდა საკუთარი კომპიუტერი და სხვა ტექნიკა, ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელზე ერთი კომპიუტერი და სამუშაო მაგიდა მოდიოდა. კომუნიკაციის (მათ შორის საერთაშორისო) ტექნიკური შესაძლებლობები მეტად შეზღუდული იყო.

აღნიშნულ პერიოდთან შედარებით, დღეისათვის სამინისტროს და ბიომრავალფეროვნების სამსახურის თანამშომელთა ხელფასი 10-15-ჯერ მეტია. არ არსებობს კომპიუტერულ ტექნიკასთან და საკომუნიკაციო საშუალებებთან არსებული პრობლემები. ბოლო წლების განმავლობაში, ბიომრავალფეროვნების სამსახურის ორგანიზებით, უმაღლეს დონეზე ჩატარდა არაერთი წარმომადგენლობითი საერთაშორისო შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ბიომრავალფეროვნების სამსახურს დღეის მდგომარეობით ჩამოშორებული აქვს ბევრი ფუნქცია, რომლებიც მას 2004 წლამდე პერიოდში ქონდა და შესაბამისად დიდ რესურსსაც მოითხოვდა: თევზჭერის, სამონადირეო მეურნეობების შექმნის, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის, არამერქნული მცენარეული რესურსების მოპოვების ლიცენზიების გაცემა, დაცული ტერიტორიების მონიტორინგი, ტყის მართვის გეგმების შეთანხმება (1999 წლამდე - ტყის ლიცენზირებაც). თუმცა, სამწუხაროდ, სამსახურის შესაძლებლობები კვლავ არ შეესაბამება ბიომრავალფეროვნების (და მასთან ერთად სხვა კონვენციების) აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ზემოხსენებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებზეც მუშაობდა ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის კონვენციური სამსახური, დღეისათვის ემატება შემდეგი მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები:

- ,,ბიოუსაფრთხოების შესახებ" კარტახენას ოქმი (2009-დან);
- ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ'' ბერნის კონვენცია (2008-დან);
- ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია" (2011-დან).

იგეგმება „გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ" ნაგოიას ოქმისა და და „სურსათისა და სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვან მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების" რატიფიცირება[45].

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული 27 მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებიდან ათის ქვეყანაში დანერგვასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ბიომრავალფეროვნების სამსახური. სამსახურში სულ 5 ადამიანია დასაქმებული და მათ მოვალეობებში, NBSAP-ის შემუშავებასა და განხორციელების კოორდინაციასთან, ასევე ზემოთ

[45] წყარო: მეხუთე ეროვნული მოხსენება (პროცესი 2015 წლამდე უნდა დასრულებულიყო)

ჩამოთვლილი ათი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ორგანიზებისა და კოორდინაციისა, შედის:

- ბიომრავალფეროვნების კომპონენტების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულებებების განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელების კოორდინაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება;
- გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირება;
- „გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" (CITES) კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება/ადმინისტრირება;
- საქართველოს „წითელი ნუსხაში" ცვლილებებისა და/ან დამატებების პროექტების განხილვა, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, „საქართველოს წითელი წიგნის" გამოცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და კოორდინაცია; „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების წესების (მათ შორის, მოპოვების ვადების, ადგილების, აკრძალული იარაღებისა და მეთოდების, მოპოვებისათვის დაშვებული სახეობების, სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის) დამდგენი ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა; კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობის რეგულირების პროცესში რესურსის მოპოვების მეთოდების განსაზღვრა და კვოტების დადგენაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამონადირეო მეურნეობის შექმნის პროცესში მონაწილეობა;
- სამონადირეო მეურნეობებისა და თევზსამეურნეო მართვის გეგმების შედგენის წესის შემუშავება;
- სამონადირეო მეურნეობებისა და თევზსამეურნეო მართვის გეგმების დადგენილი წესით განხილვა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის მომზადებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვაში და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ არსებული კითხვარის შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდება; ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების შესახებ შეტყობინება;

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების და საერთაშორისო ორგანიზაციების/პროცესების ეგიდით საქართველოში მიმდინარე ქმედებების შესახებ ინფორმაციის, ასევე, შესაბამის სამდივნოებში წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ასლების პერიოდულად მიწოდება;

- სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

ცხადია, რომ ასეთი მოცულობის სამუშაოს განხორციელებას გაცილებით მეტი რესურსი ესაჭიროება. ამასთანავე, ზოგიერთი ჩამოთვლილი ფუნქცია ნამდვილად არ უნდა შედიოდეს ამ სამსახურის მოვალეობებში. მაგალითად, ასეთებად მიგვაჩნია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მონაწილეობა. სამსახური პასუხისმგებელი უნდა იყოს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვაზე და არა კონკრეტულ პროექტებზე ნებართვების გაცემაზე. გზშ მოითხოვს სპეციფიკურ, ვიწრო სპეციალობით (მაგალითად, მსხვილი ძუძუმწოვრების სპეციალისტი, თევზების სპეციალისტი, მცენარეთა ეკოლოგიის სპეციელისტი და ა.შ.) სერიოზულ ექსპერტულ ცოდნას, რაც არ შეეესაბამება სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად, მათი მონაწილება გზშ/ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში მოკლებულია ეფექტურობას[46]. სრულიად შეუფერებელი და არაეფექტურია ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის გამტარებელი ორგანოსათვის ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა: „სამონადირეო მეურნეობებისა და თევზსამეურნეო მართვის გეგმების დადგენილი წესით განხილვა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა“; „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირება“; „სამონადირეო მეურნეობის შექმნის პროცესში მონაწილეობა.“

* * *

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ქვეყანაში არსებულ შესაძლებლობებს ბიომრავალფეროვნების კონვენციის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებში, იკვეთება შემდეგი:

- ბიომრავალფეროვნების სტრატეგიებსა და მოქმედებათა გეგმების შედგენა და ეროვნული მოხსენებების მომზადება ხდებოდა სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დახმარებით/დაფინანსებით.
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ბიომრავალფეროვნების ეროვნული ანგარიშგების დოკუმენტების მომზადებისათვის ქირაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან დამოუკიდებელ ექსპერტებს.
- ბიომრავალფეროვნების ხუთივე ეროვნული მოხსნების მომზადებაში მთავარი შემსრულებელი პირი იყო ანა რუხაძე, რომელიც პირველი ეროვნული ანგარიშგების დოკუმენტების მომზადებისას სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის კონვენციური სამსახურის თანამშრომელი იყო. შემდეგ საანგარიშო პერიოდებში, ის მონაწილეობას იღებდა ბიომრავალფეროვნების

[46] არსებული გზშ სისტემის ნაკლოვანებებზე და ამ პროცესში სამინისტროს სტრუქტურული აპარატის თანამშრომელთა მონაწილების გაუმარლებლობაზე საუბარია არაერთ ანგარიშში, მათ შორის სამინისტროს ექსპერტების ანგარიშებში, რომლებიც აღნიშნულიკანონმდებლობის განახლებასა და ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოებაზე მუშაობენ. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის ფორმატში საკითხს უფრო დაწვრილებით არ განვიხილავთ.

დეპარტამენტის/სამსახურის მთავარი სპეციალისტი[47] ან დამოუკიდებელი ექსპერტი. ეს გარემოება დამატებით უსვამს ხაზს საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მახსოვრობის მნიშვნელობას.

- ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი და საერთაშორისო გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციები (ცხრილი 2).
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეინიშნება ფუნქციათა გადაფარვა. თუმცა ამ ფონზეც, ბიომრავალფეროვნების კონვენციის ანგარიშგებასა და მონიტორინგთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი შესრულება ვერ ხერხდება.

ცხრილი 2. ბიომრავალფეროვნების თემატურ კომპონენტების დანერგვაზე მომუშავე ორგანიზაციები

ბიომრავალფეროვნების თემატური კომპონენტი	ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა NBSAP-2-ის ფარგლებში	ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ბიომრავალფეროვნების თემატურ კომპონენტებზე[48]	
		არასამთავრობო	სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო
სახეობები და ჰაბიტატები	NACRES . კოორდინატორი - ირაკლი შავგულიძე. ექსპერტები ირაკლი შავგულიძე, ბეჟან ლორთქიფანიძე, გიორგი გორგაძე, კახა არცივაძე (ყველა NACRES); ირაკლი მაჭარაშვილი (მწვანე ალტერნატივა); მაია ახალკაცი, ოთარ აბდალაძე, ქეთევან ბაცაცაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)	• NACRES (ძუძუწოვრებისა და კვლევა, მონიტორინგი), ადვოკატირება, შესაძლებლობების გაძლიერება; • WWF Caucasus Po - პოლიტიკა, პოლიტიკის კვლევა, კანონმდებლობა, in situ კონსერვაციული ღონისძიებები) • Sabuco (ფრინველების კვლევა, კონსერვაციული ღონისძიებები) • Campester (მცირე ძუძუმწოვრების კვლევა) • მწვანე ალტერნატივა (პოლიტიკა, პოლიტიკის კვლევა, კანონმდებლობა, ადვოკატირება) • ჭაობი (წყალჭარბი ტერიტორეიბის კონსერვაცია)	in situ კონსერვაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ, ბოტანიკის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი ex situ კონსერვაცია: თბილისის ზოოპარკი, ბოტანიკური ბაღები, სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა[49]

[47] აღსანიშნავია, რომ მოხსენებებზე მუშაობა მიმდინარეობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შვებულებების პერიოდში, როდესაც ექსპერტი გათავისუფლებული იყო სხვა რუტინული სამუშაოსგან

[48] ორგანიზაციების ჩამონათვალი არასრულია, შეძლებისდაგვარად შეივსება 31.03.16. დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე

[49] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №240, 30.12.2015. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული საშენი მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ“

დაცული ტერიტორიები	WWF Caucasus Po კოორდინატორი - ეკა კაკაბაძე, ექსპერტები, ეკა კაკაბაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი	• NACRES (კვლევა, მონიტორინგი, ადვოკატირება, შესაძლებლობების გაძლიერება); • WWF Caucasus Po - პოლიტიკა, კანონმდებლობა, დაარსების ხელშეწყობა და შესაძლებლობების გაძლიერება) • მწვანე ალტერნატივა (პოლიტიკა, კანონმდებლობა, ადვოკატირება, დაარსების ხელშეწყობა)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ, ბოტანიკის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი
ტყის ეკოსისტემები	WWF Caucasus PO. ილია ოსეფაშვილი, იოჰან ნოიერი, ლერი ჭოჭუა, ზალიკო დაუშვილი	• WWF Caucasus PO კვლევა, აღდგენა-გაშენების პროექტები, შესაძლებლობების გაძლიერება, საველე კვლევა და ანალიზი) • მწვანე ალტერნატივა (პოლიტიკა, პოლიტიკის კვლევა, კანონმდებლობა, საველე კვლევა, ადვოკატირება, მონიტორინგი); • მწვანეთა მოძრაობა (კანონმდებლობა, პოლიტიკა); • RECC (პოლიტიკა, კვლევა, აღდგენის პროექტები) • CENN (შესაძლებლობების გაძლიერება, განათლება, კვლევა, მონიტორინგი)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი
აგრარული ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი სათიბ-საძოვრები;	ელკანა - კოოდინარორი - ელენე შატბერაშვილი; ექსპერტები: მარიამ ჯორჯაძე, ელენე შატბერაშვილი, მაია ახალკაცი, გიული გოგოლი, ნინო ჭანიშვილი, თენგიზ ურუშაძე, ზაზა კილასონია	ელკანა (პოლიტიკა, კვლევა, კონსერვაციული პროექტები)	აგრარული უნივერსიტეტი

შიდა წყლის ეკოსისტემები	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - კოორდინატორი: ბელა ჯაფოშვილი. ექსპერტები, ლევან მუმლაძე, თამარ ლოლაძე, ჟანეტა შუბითიძე, მარინა ბოჟაძე	ჭაობი (კვლევა, განათლება) ფლორა და ფაუნა (კვლევა) მწვანე ალტერნატივა (პოლიტიკა, გზშ, პროექტების მონიტორინგი)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შავი ზღვა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - კოორდინატორი ზურაბ გურიელიძე, ექსპერტები - ზურაბ გურიელიძე, ნათია კოპალიანი, მაია შაქარაშვილი, ნანა დევიძე, ზურაბ ჯავახიშვილი	ფლორა და ფაუნა (კვლევა)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მმართველობა და გამჭოლი საკითხები	RECC კოორდინატორი მალხაზ ძნელაძე, ექსპერტები: მალხაზ ძნელაძე, გია ჟორჟოლიანი	მწვანე ალტერნატივა (გზშ, TEEB, Cost-benefit analysis, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ევროკავშრთან ინტეგრაცია) RECC (TEEB) WWF Caucasus Po (TEEB)	
კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნება	NACRES - კოორდინატორი - კახა არცივაძე; ექსპერტები ირაკლი შავგულიძე (NACRES) ირაკლი მაჭარაშვილი (მწვანე ალტერნატივა)	NACRES RECC WWF Caucasus Po CENN მწვანე ალტერნატივა NALA	
ბიოლოგიური რესურსების შეფასება და გამოყენება	NACRES - კოორდინატორი - ირაკლი მაჭარაშვილი (მწვანე ალტერნატივა); ექსპერტები ირაკლი შავგულიძე (NACRES) ირაკლი მაჭარაშვილი (მწვანე ალტერნატივა)	მწვანე ალტერნატივა NACRES RECC WWF Caucasus Po	
ბიოუსაფრთხოება	RECC - კოორდონატორი - ანა რუხაძე, ექსპერტები - ანა რუხაძე, ზურაბ ქუჩუკაშვილი, გია ჟორჟოლიანი	RECC ელკანა	აგრარული უნივერსიტეტი, თსუ
საზოგადოების მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება და განათლება	ეკოხედვა - კოორდინატორი: ნინო სულხანიშვილი, ექსპეტები: თეა სიფრაშვილი, გია სოფაძე, ანა რუხაძე, რუსუდან ჭოჭუა	ეკოხედვა RECC ელკანა WWF Caucasus Po მწვანე ალტერნატივა NACRES	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესიული სასწავლებლები

სუსტი მხარეები:

- სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაკლებობა; განსაკუთრებით თვალსაჩინოა კოორდინაციის ნაკლებობა ისეთი სამსახურების სსიპ-ებს შორის, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ბიომრავალფეროვნების კომპონენტების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საკითხები.
- ბიომრავალფეროვნების კონვენციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობა, ინფორმაციის ხარისხისა და სისტემატიზაციის ხარვეზები სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში;
- ბიომრავალფეროვნების კონვენციით, ასევე ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით ნაკისრი ვალდებულებების არასაკმარისი გაცნობიერება და შესრულების დონე სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ;
- ბიომრავალფეროვნების კონვენციით და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით ნაკისრი ვალდებულებების არასაკმარისი გაცნობიერება და შესრულების დონე სხვა სამინისტროების მიერ;
- ბიომრავალფეროვნების სამსახურის ადამიანური რესურსებისა და შესასრულებელი დავალებების შეუსაბამობა;
- არსებული საჯარო ინფორმაციის (სამინისტროს და კონვენციის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული) არასრულყოფილება და სისტემატიზაციის ნაკლებობა, რაც ამცირებს კომუნიკაციის შესაძლებობას.

ძლიერი მხარეები:

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველომ არაერთხელ აჩვენა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის წარმატებულია თანამშრომლობის მაგალითი ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში[50]. წლების განმავლობაში ძლიერ მხარეს წარმოადგენდა კარგი და უწყვეტი ინსტიტუციური მახსოვრობა ბიომრავალფეროვნების სამსახურში.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქვეყანაში მუშაობს რამდენიმე ძლიერი ორგანიზაცია (არასამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო). თითოეული ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ცნობილ და აღიარებულ (არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც) მოთამაშეს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების გარკვეული მიმართულებით. მათ აქვს საკუთარი კარგი კავშირები (ქსელები) სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს აქვთ ურთიერთთანამშრომლობის კარგი და ნაყოფიერი გამოცდილება როგორც ერთმანეთთან, ისე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამსახურთან[51].

[50] მეხუთე ეროვნული მოხსენება

[51] Shavgulidze, 2014.

ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა განახლების პროცესი იყო სხვადასხვა სექტორის - სამინისტროების და სამთავრობო სააგენტოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი. პროცესს კოორდინაციას უწევდა საზედამხედველო კომიტეტი გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით. კომიტეტში წარმოდგენილი იყვნენ წამყვანი კონსერვაციული ორგანიზაციები (WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისი, IUCN-ის კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი, ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები „მწვანე ალტერნატივა“ და NACRES)[52].

წლების განმავლობაში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების კუთხით საქართველოს მიერ გაწეული მუშაობა აღიარებულია ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის, CITES და სხვა მრავალმხრივი შეთანხმებების სამდივნოების მიერ და შედეგად საქართველო ცნობილია ერთ-ერთ რეგიონულ ლიდერად. ამაზე მოწმობს საქართველოში ბიომრავალფეროვნების სამსახურის ორგანიზებით ჩატარებული არაერთი მაღალი დონის შეხვედრა; სამინინტროს, დონორების, საერთაშორისო ორგანიზაციების (UNEP, WWF) და ადგილობრივი არასამთავრობო და სამეცნიერო (მწვანე ალტერნატივა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით მომზადებული TEEB Scoping Study for Georgia, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის ერთ-ერთი საპროგრამო დოკუმენტი გახდა[53], არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა TEEB მეთოდიკის განვითარებაში გლობალური მასშტაბით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი სექტორისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში (2009-2013)[54] სამსახურის უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით მოხერხდა სამი ეროვნული მოხსენების მომზადება, ბიომრავალფეროვნების კომპონენტების ინვენტარიზაციის დაწყება, TEEB და NBSAP ინიცირება და სხვ.

რეკომენდაციები

არსებული სუსტი მხარეების დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციების, ასევე კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ინვენტარიზაცია, გამომდინარე ეროვნული კანონმდებლობის (მათ შორის კონვენციების) მოთხოვნებიდან. ეს უნდა განხორციელდეს თავად სამინისტროს თანამშრობლობის აქტიური მონაწილეობით. ამგვარი კვლევის განხორციელების საკმაოდ წარმატებული გამოცდილება არსებობს: 2006-2007 წლებში მწვანე ალტერნატივამ განახორციელა კვლევა ახლადშექმნილ გარემოს დაცვის ინსპექციასთან მიმართებაში, სამინისტროს აქტიური ჩართულობითა და OECD დახმარებით. ამან ხელი შეუწყო ძალიან ძლიერი სამსახურის შექმნას და პროფესიონალთა გუნდის ჩამოყალიბებას. სამწუხაროდ, 2011 წელს გაუმართლებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად, ეს ერთ-ერთი წარმატებული ინსტიტუცია ლიკვიდირებულ იქნა. მართალია, 2013 წელს სამსახური აღდგა (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სახელით), მაგრამ ამ ორგანიზაციულმა ცვლილებებმა გამოიწვია მოსამსახურეთა და შესაძლებლობების (პოტენციალის/capacity) კარგვა, ასევე

[52] მეხუთე ეროვნული მოხსენება

[53] ნაშრომში მოყვანილი საკითხები შეტანილია სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღრელ არაერთ დოკუმენტში, მათ შორის: „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილება; „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“ - საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-Iს, 11.12.2013

[54] კანონმდებლობისა და ინსტიტუციური მოწყობის ხშირი ცვლილებები, რომლებიც გარემოსდაცვითი სექტორის დასუსტებისკენ იყო მიმართული

საზოგადოებაში სამსახურის ავტორიტეტისა და ნდობის შემცირება. ინსტიტუციური მახსოვრობის ნაწილი მთლიანად დაიკარგა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა[55].

ბიომრავალფეროვნების კონვენციის საკითხების ქვეყანაში დანერგვის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია კოორდინაციის გაუმჯობესება როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურებს შორის, ისე სხვადასხვა სამინისტროებს შორის. ამისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი შესაძლოა იყოს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზე უშუალოდ მომუშავე სტრუქტურული ერთეულები (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ სატყეო სააგენტო, სატყეო პოლიტიკის სამსახური, ბიომრავალფეროვნების სამსახური) შედიოდნენ ერთი კურატორი მინისტრის მოადგილის სფეროში.

როგორც აღვნიშნეთ, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ფუნქციებსა და ამოცანებში შედის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მოსმენის ორგანიზება და პროგრამებისა და გეგმების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი. თუმცა, ბიომრავალფეროვნების კონვენციის შესახებ ანგარიშს დეპარტამენტი მხოლოდ ბიომრავალფეროვნების სამსახურისგან ისმენს. არ ხდება მონიტორინგი, თუ როგორც ასრულებს, მაგალითად დაცული ტერიტორიების სააგენტო ბიომრავალფეროვნების კონვენციის დაცული ტერიტორიების პროგრამით ან ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმის დაცული ტერიტორიების თავით განსაზღვრულ ამოცანებს; ან სატყეო პოლიტიკის სამსახური და ეროვნული სატყეო სააგენტო ბიომრავალფეროვნების კონვენციის ტყეების პროგრამით ან ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმის შესაბამისი ნაწილებით განსაზღვრულ ამოცანებს და ა.შ.

ბიომრავალფეროვნების სამსახურის ამოცანებში შედის ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ორგანიზება და კოორდინაცია. ამ ფუნქციის შესრულებისათვის, მიზანშეწონილი იქნებოდა, სამსახურმა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე სხვა სამინისტროებს, მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ, მოსთხოვოს ანგარიში, მათი კომპეტენციის ფარგლებში კონვენციის დანერგვასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. შესაძლებელია, ეს ხორციელდებოდეს არსებული „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (NBSAP) განხორციელებაზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის საბჭოს“ ფარგლებში. ეს ერთის მხრივ იქნება პრევენცია, რომ სხვადასხვა უწყებების კონკრეტული ქმედებები არ მოვიდნენ წინააღმდეგობაში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებთან. მეორეს მხრივ, კი, ასეთი ანგარიშგებით შექმნილი საინფორმაციო ბაზა გაამარტივებს ბიომრავალფეროვნების ეროვნული ანგარიშების დროულად, ეფექტურად და მინიმალური დანახარჯებით მომზადებას. ყოველივე ამისათვის, საჭიროა სხვადასხვა უწყებებისთვის შედგენილი იყოს კითხვარები/ანკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორების გამოყენებით, სრული და ობიექტური ინფორმაციის შეგროვებას.

[55] Environmental Performance Review, 2016

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე (პორტალზე) საჭიროა ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის განლაგების გარკვეული სტრუქტურის შემუშავება. საჭიროა, რომ სექციის „ბიომრავალფეროვნება“ ქვეშ ინფორმაცია დახარისხდეს სხვადასხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით:

1. კონვენცია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“
   - ,,ბიოუსაფრთხოების შესახებ" კარტახენას ოქმი
2. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ'' (CITES)
3. კონვენცია ,,საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ'' რამსარის კონვენცია;
4. ,,ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ'' კონვენცია;
   - ,აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2001-დან);
   - ,,შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2001-დან);
   - „ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ'' შეთანხმება (2002-დან).
5. ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ'' ბერნის კონვენცია
6. ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია“

თითოეული ამ ქვესათაურის მიხედვით უნდა განლაგდეს: სტრატეგიული დოკუმენტები; ეროვნული მოხსენებები; ქვეყანასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ღონისძიებები და ა.შ. გარდა ამისა, პროაქტიულად უნდა იყოს გამოქვეყნებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია: სამონადირეო მეურნეობების მენეჯმენტის გეგმები; ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტების მართვის გეგმები; ინფორმაცია ნადირობაზე, თევზჭერაზე და სხვა ბიორესურსებზე გაცემული ლიცენზიებისა და კვოტების შესახებ.

რეგულარულად უნდა ახლდებოდეს და შეუფერხებლად ფუნქციონირებდეს „ბიომრავალფეროვნების რესურს-ცენტრის“ (www.chm.moe.gov.ge) და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის (http://biomonitoring.moe.gov.ge) ვებ-გვერდები.

ბიომრავალფეროვნების სამსახურს უნდა ჩამოშორდეს ფუნქციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის გატარებასა და მონიტორინგთან, როგორებიცაა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მონაწილეობა, „სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება“, „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირება“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში იგეგმება ცვლილებები, რომლებიც გულისხმობს სატყეო პოლიტიკის სამსახურისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურების გაერთიანებას. აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად მიგვაჩნია, ვინაიდან დღეისათვის საკმაოდ არალოგიკურად ჩანს, რომ ბიომრავალფერონების დაცვის სამსახურის ფუნქციები გვერდს

უვლის ტყის მერქნიანი სახეობების მართვის საკითხებს, მაგრამ ეხება არამერქნული სახეობების, „საქართველოს წითელი ნუსხითა“ და საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული მცენარეთა სახეობების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების საკითხები; ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური პრაქტიკულად არ მონაწილეობს ახალი ტყის კოდექსის შემუშავებაში, ხოლო სატყეო პოლიტიკის სამსახური - ბიომრავალფეროვნების ახალი კანონის შემუშავებაში. გაერთიანების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილ 10 კონვენციასა და საერთაშორისო შეთანხმებას დაემატება Forest Europe ინიციატივის, ასევე ტყეებთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებების საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება ახალ დეპარტამენტში შეიქმნას კონვენციური/საერთაშისო შეთანხმებების სამსახური, რომლის ფუნქციაც იქნება: ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ორგანიზება და კოორდინაცია, მათ კონვენციების ანგარიშგების დოკუმენტების (სტრატეგიებისა და მოქმედეთა გეგმები, ეროვნული ანგარიშები) მომზადება, კონვენციების მმართველ ორგანოებთან კომუნიკაცია, შეხვედრების ორგანიზება და საერთაშორისო ფორუმებში ქვეყნის წარმოდგენა; „გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” (CITES) კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება/ადმინისტრირება (მათ შორის საბაჟო დეპარტამენტთან და ექსპერტთა საბჭოსთან კომუნიკაცია/კოორდინირება); საერთაშორისო კონვენციებთან/შეთანხმებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და მიწოდება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის (გამოსაქვეყნებლად) და გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისთვის; სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მონიტორინგი კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

ასევე აუცილებელია, რომ სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ხაზგასმით იყოს აღნიშნული ბიომრავალფეროვნების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების ცოდნა (განსაკუთრებით, სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახურების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Environmental Performance review, First Review, 2003 UNITED NATIONS, New York and Geneva, 2016
2. Environmental Performance review, Second Review, 2010 UNITED NATIONS, New York and Geneva, 2016;
3. Environmental Performance review, Third Review, 2015 UNITED NATIONS, New York and Geneva, 2016;
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №11 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 19 სექტემბრის №70 ბრძანება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 5 თებერვლის №175 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“;
7. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 10 სექტემბრის №220 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
8. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №24 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №25 „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
10. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 31 ივლისის №210 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №18 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

12. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივნისის №126 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;

13. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 26 თებერვლის №183 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;

14. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 სექტემბრის №67 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

15. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

16. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №204 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების დებულებების დამტკიცების შესახებ“

17. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 28 ივლისის №208 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.

18. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

19. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 5 აგვისტოს №213 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.

20. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №55 (07.12.2010) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“.

21. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №53 (07.12.2010) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

22. საქართველოს მთავრობის დადგენილება №485, 28.12. 2012 „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

23. საქართველოს მთავრობის დადგენილება №97, 26.04.2013 „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

24. საქართველოს მთავრობის დადგენილება №214 21.08.2013 „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“

25. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 10, 30.01.2009 „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

26. „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონი N2656-Iს, 18.09.2014

27. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №240, 30.12.2015. „საჯარო სამართლის იურიდული პირის – ეროვნული საშენი მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ“

28. Secretariat of the Convention on Biological Diversity (2014) *Global Biodiversity Outlook 4*. Montréal, 155 pages.

29. UNEP/CBD/WG-RI/3/6, 24 February 2010, national reporting: review of experience and proposals for the fifth national report

30. UNEP/CBD/COP/10/27/Add.1 19 December 2010 STRATEGIC PLAN FOR BIODIVERSITY 2011-2020 PROVISIONAL TECHNICAL RATIONALE, POSSIBLE INDICATORS AND SUGGESTED MILESTONES FOR THE AICHI BIODIVERSITY TARGETS

31. Stakeholder Participation in the NBSAP Revision Process: Georgia. Prepared by: Irakli Shavgulidze www.iucn.org

32. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილება „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“

33. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებით „საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“

34. ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა (1996).

35. პირველი ეროვნული მოხსენება (2003)

36. დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამის შესრულების მიმოხილვა Review of the Implementation of the Protected Areas Work Programme (2009)

37. მეორე ეროვნული მოხსენება (2010)

38. მესამე ეროვნული მოხსენება (2010)

39. მეოთხე ეროვნული მოხსენება (2010)

40. მეხუთე ეროვნული მოხსენება (2015)

41. UNEP and WWF, 2013. TEEB Scoping Study for Georgia. United Nations Environment Programme, (UNEP), Geneva, Switzerland www.teebweb.org.

42. Guidelines for National Reports, COP Decision V/19,
43. Guidelines for the Third National Report Cop Decisions VI/25 And VII/25
44. Guidelines for the Fourth National Report Cop Decision VIII/14
45. Guidelines for The Fifth National Report, Cop Decision X/10

დანართი 1. ინტერვიუებისათვის შემუშავებული კითხვები

1. ვინ შეადგინა პირველი ეროვნული მოხსენება?
2. რატომ არ გაიგზავნა თავის დროზე პირველი ეროვნული ანგარიში?
3. ვინ არის პასუხისმგებელი www.cbd.int - ზე საქართველოს შესახებ არსებული ინფორმაციის განახლებაზე და სისწორეზე?
4. ვინ არის პასუხისმგებელი www.moe.gov.ge - ზე ბიომრავალფეროვნების კონვენციის შესახებ არსებული ინფორმაციის განახლებაზე და სისწორეზე?
5. ვინ არის პასუხისმგებელი www.eiec.gov.ge/ - ზე (გარემოსდაცვითი განათლებისა და
6. ინფორმაციის ცენტრი) ბიომრავალფეროვნების კონვენციის (ზოგადად კონვენციების შესახებ) შესახებ არსებული ინფორმაციის განახლებაზე და სისწორეზე?
7. როგორია კონვენციის ანგარიშის დამტკიცების სამართლებრივი მექანიზმი, რომელი აქტით არის დამტკიცებული? როგორ ხდება მისი ხარისხის და სისწორის შეფასება სამინისტროს მიერ, სანამ გააგზავნიან?
8. რატომ არ ხდება ბიომრავალფეროვნების საიტების www.chm.moe.gov.ge და http://biomonitoring.moe.gov.ge/ განახლება-აღდგენა?
9. რა ფუნქციებს ასრულებენ კონვენციის ანგარიშგების და ვალდებულების შესრულების და მონიტორინგის საკითხებში შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:
   - ბიომრავალფეროვნების სამსახური
   - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
   - გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი
   - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
   - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
   - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
   - სსიპ სატყეო პოლიტიკის სამსახური
   - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
   - აჭარის სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვის სამსახური
10. როგორ და რა ხარისხისხით ასრულებენ კონვენციის წინაშე აღებულ ვალდებულებებს ან ხელმძღვანელობენ მუშაობისას ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულები?
11. რომელი სახელმწიფო ორგანიზაციები (სხვა სამინისტროები და ა.შ.) უნდა მონაწილეობდნენ კონვენციის ვალდებულებების შესრულებაში?
12. რამდენად ასრულებენ ეს სახელმწიფო ორგანიზაციები კონვენციის ვალდებულებებს?
13. რომელი სამეცნიერო-კვლევითი-სასწავლო ორგანიზაციები მონაწილეობენ კონვენციის ვალდებულებების შესრულებაში?

14. რა როლს ასრულებენ სამეცნიერო-კვლევითი-სასწავლო ორგანიზაციები კონვენციის ვალდებულებების შესრულებაში?
15. რა როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები კონვენციის ვალდებულებების შესრულებაში? მონიტორინგში? ანგარიშგებაში?